



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბეჭე-  
უნი სიფყაა, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანისბბაგე უსამაგლსია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

პარასკევი, 20 მაისი, 2022 წ. №63 (9401) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

## რა გიყოთ და რას დაგაგსგავსათ ამ ავიაჯაჟმა გვარავიზიამ, ნაციდუოლოგიის ტრფიალნო!..



**დბეხიბა**  
**გავაბრებინოს,**  
**საქახიუჯილუ?**

იბ. 3 გვ.



**თბა**  
**წულუკიანი:**

## იან კელის წონის სრბელები აბვს ერთ ქართულ დედას ჩუბად დაღვრილი!..

**საბართიველოს კულტურის მინისტრბა თბა წულუკიანბა**  
**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიბართ კრიტიკულად**  
**განფყობილი დასავლელი პოლიტიკოსბი გაბაკრიბიბა.**

წულუკიანის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, „მოგვეიდოს უცხოელთა პატარა ჯგუფი, თითქოს ეს ხალხი არის ნამდვილი ევროპა. სინამდვილეში ამ ხალხის ერთადერთი ვინრო პარტიული ინტერესიბა, რომ ააცირობოს მთავრობა“.

„არ შეიძლება, სისხლის სამართლის ერთბა საქმემ ქართველი ერის ევროპული არჩევანი შეცვალოს ან ვინმეს მისცეს იმის უფლება, რომ ესოდენ მნიშვნელოვან საქმედ აქციოს, თუმცა არსებობს უცხოელთა ჯგუფი, რომლებსაც ეს აღელვებთ. ისინი ცდილობენ, რომ ქართველ ხალხს მიჰყიდონ საკუთარი თბვი, თითქოს ისინი არიან თვით დასავლეთი და თვით ევროპა, და თუკი ისინი არიან რბლაცით უკმაყოფილო, ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპა, ნატო, ფრანგები, გერმანელები და პოლონელები, ყველა გვერჩის ერთიანად. უცხოელების ამ პატარა ჯგუფს,

მე მათში ვგულისხმობ ლამის ქართველ პოლიტიკოსად ქცეულ ვიოლა ფონ კრამონს, რომელიც პირდაპირ ერევა ქართულ პოლიტიკაში, ხან ვის დაუქნევს თით და ხან – ვის და ჰგონიბა, რომ ამის უფლება აქვს. ასევე არის იან კელი – ალბათ ერთი იან კელის წონის ცრემლები აქვს ერთ ქართველ დედას ჩუბად დაღვრილი, როდესაც თბვის შეილება ევროპული და დასავლური არჩევანის დასაცავად უშვებდა სხვადასხვა ბრძოლაში. მას არ ერიდება, რომ დღეში რამდენჯერმე ქართველ ერს და მის მთავრობას მიაცენოს შეურაცხყოფა, თითი დაგვიქნიოს, ვითომ რომელიმე ჩვენგანი ნული კლასის მოსწავლე ვიყოთ. არიან სხვებიც, კოლექტიური პედრო აგრამუნტები, რომელიც შემდეგ პუტინის თვითმფრინავით ასადთან ჩაფრინდა სირიაში და ის განდევნეს ევროსაბჭოს ასამბლეიდან, კოლექტიური ჟიგიმანტასები და ა.შ. „ნაცმობრა-



ობა“ ცდილობს, მოგვეიდოს ეს პატარა ჯგუფი, თითქოს ეს ხალხი არის ნამდვილი ევროპა. სინამდვილეში ამ ხალხის ერთადერთი ვინრო პარტიული ინტერესიბა, რომ ააცირობოს მთავრობა“, – აცხადებს წულუკიანი.

**თბვშესაფრბების**  
**მონყობა 2015 წელს**  
**დაპინყოთ!**

**„აფოვსტალის“**  
**განერალური**  
**დირბბტორი**  
**ანვბარ**  
**სჟიტიბიბილი**

3

**ახალი უენობა ბიორბი**  
**კალანდიასთბის**

**ილონ ბასკი:**  
**თბნამედრობე სმოლა**  
**პრბფრინსმომსბეიბი,**  
**პრსბბული**  
**პრობრბბები ნარსულს**  
**უნდა ჩბბბრდეს?!**

12

**„აგრაფინბ**  
**კისკისბო,**  
**დადიბნბა**  
**პრინცს**  
**მისცბო“!**

7



რაო, რაო?! - არ შეხვდით!

# 18 მაისი, 2022: პირში ჩალაგამოვლელი ოპოზიციის გასაგონად!

სტოლბენარები: ნატო სრულად უჭერს მხარს საქართველოს ავტონომიური მისწრაფებებს!

„გამომართვი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილთან, ნატოს ასლო პარტნიორთან. ჩვენ განვიხილეთ რუსეთის უკანონო ომი უკრაინაში. ნატო სრულად უჭერს მხარს ყველა ერის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და საკუთარი გზის არჩევის უფლებას, მათ შორის საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“ - აცხადებს იენს სტოლტენბერგი. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, „მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ალიანსთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას, რომლის შედეგადაც საქართველო ეფექტურად იყენებს განვითარების გზაზე არსებულ ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს“.

„შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებისადმი როგორც ალიანსის, ასევე პარტნიორი ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერას და მათთან მჭიდრო თანამშრომლობას. დადებითი შეფასება მიეცა ალიანსში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს.“

გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს, როგორც ალიანსის მტკიცე და სანდო პარტნიორის როლი და მისი მნიშვნელოვანი კონტრიბუცია როგორც გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, ასევე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

შეხვედრაზე მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს პროგრესი და მისი მისწრაფება სათანადოდ იქნება ასახული ალიანსის შემდგომ გადამწყვეტილებებში როგორც ქვეყნის მისწრაფებების პოლიტიკური მხარდაჭერის, ასევე პრაქტიკული შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით. მხარეებმა ასევე მიმოიხილეს ნატოს მადრიდის სამიტის მოსამზადებელი საკითხები და მოლოდინები.

საუბარი ასევე შეეხო რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და უკრაინის ომს, რაზეც პრემიერ-მინისტრმა ქართველი ხალხის სოლიდარობა კიდევ ერთხელ დაადასტურა უკრაინელი ხალხის მიმართ. ალიანსის გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. საქართველოს პრემიერმა გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა პირადი ძალისხმევებისთვის და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლაში არსებითი როლის შესრულებისთვის, - ნათქვამია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რა საკითხები განიხილეს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან ორმხრივი შეხვედრა გამართა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა და ადმირალმა რომ ბაუერმა სამხედრო კუთხით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები მიმოიხილეს და პრიორიტეტებსა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე, ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და თავსებადობის გაზრდის მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა.“

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე საუბრის ძირითად თემას რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი აგრესია წარმოადგენდა. მხარეებმა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობა გამოხატეს და რუსეთის მოქმედებები დაგმვეს.

გენერალ მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ადმირალ რომ ბაუერს საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესზე, ასევე ნატო-სა-



ქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში განხორციელებულ მნიშვნელოვან ინიციატივებზე ინფორმაცია მიიწოდება. მან სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების გრძელვადიანი განვითარების გეგმაც გააცნო, რომელიც ნატოსთან თანამშრომლობის ყველა პრაქტიკული მექანიზმის გამოყენებას ითვალისწინებს და საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების ამაღლებას ისახავს მიზნად.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს უდიდესი კონტრიბუცია და ქართული მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, ნატოს მისივესა და ოპერაციებში მომავალშიც გააგრძელოს მონაწილეობა, - ნათქვამია ინფორმაციაში.

# ქოზეფ ბორელი: ქალიან ვაფასებთ საქართველოს კენჭისყრას გაეროში!

ჩემი ძალიან ვაფასებთ საქართველოს კენჭისყრას გაეროში, რადგან ვიცით, რამდენად რთულია საქართველოსთვის რუსეთის წინააღმდეგ წასვლა, - განაცხადა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჟოზეფ ბორელმა.



რეგიონში დაგეგმილ რეფერენდუმთან დაკავშირებით. ამ რეფერენდუმს არაკანონიერად მივიჩნევთ და მას არ ვაღიარებთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რა თქმა უნდა, ასევე ვისაუბრეთ ევროკავშირში განხორციელების მოთხოვნის პერსპექტივებსა და იმ მოსაზრებაზე, რომელსაც ევროკომისია მომდევნო კვირებში გამოიტანს. ეს შესაძლებლობის ფანჯარაა. ეს მომენტია იმისთვის, რომ დაჩქარდეს რეფერენდუმი, თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური პოლარიზაცია, გაგრძელდეს რეფორმების გზა, განსაკუთრებით სასამართლო სფეროში, - აღნიშნა ჟოზეფ ბორელმა.



# დააკავეს ალაშიანი, როგორც ეკრანიდან იბინება, იფურთხება და იწყვეტება!

რიგითი, ყოველდღიური შრომით დამძიმებული მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადმოსახედიდან კრიტიკული მუდის მენეჯერი არ დაუკავებიათ. რიგითი, ყოველდღიური შრომით დამძიმებული მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადმოსახედიდან დააკავეს ადამიანი, რომელიც ეთერში გაშვებამდე, რეიტინგის ზრდის მიზნით ბავშვებს პორნოგრაფიასაც კი არ შტრინავს ნორმალურად; დააკავეს ადამიანი, რომელიც სატელე-

ვიზო ეკრანიდან დღე და ღამე იბინება, იფურთხება და იწყვეტება; ადამიანი, რომელსაც არ ერიდება სტუდიიდან ქართველი გლეხების უშვერი სიტყვებით, ვულგარული გამოჩაბებით ლანძღვა; ადამიანი, რომელიც მზად არის პოლიტიკური ოპონენტების მორალური განადგურების მიზნით გააყაღოს ფაქტები, მოაწყოს მთელი საზოგადოება, იკადროს უკადრებელი; ადამიანი, რომელსაც დედამიწის ზურგზე არაფრის არ ერიდება - მათ შორის არც უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ბავშვის ცხოვრების დაჯიჯგვის, ქირისუფლის ფხეჭემ გათელვის... ბელადისა და საკუთარი მდგომარეობის დასაცავად ქალაქის წყალმომარაგების ავზში მოსაქმეებს ჰგავს ის, რასაც ეს მონსტრი აკეთებს წლებია... აქედან გამომდინარე, სოლიდარობა და

თანაგრძობა არ იქნება! ჩვენ არ გვჭირდება კრიტიკული მედია, ჩვენ არ გვჭირდება მედია, რომელიც არსებული სისტემის შენარჩუნებასა და ერთი პარტიის მეორეთი ჩანაცვლებას ემსახურება. ჩვენ გვჭირდება მედია, რომელიც დაქვემდებარებისგან, ჩაგვრისგან გვათავისუფლებს, რომელსაც მოაქვს მტრი სოციალური პროგრესი, რომელიც გვეზმარება ახალი უფლებებისა და მეტი სამართლიანობის მოპოვებაში. ბინძური საყვირები არ გვჭირდება... მე არ ვიცი, განაჩენი რამდენად სამართლიანია. თუ უკანონო განაჩენი გამოუტანეს, ცხადია, არ შეიძლება დიდი ხანია, მჯერა, რომ სახელმწიფოს განვითარების ხარისხი იზომება იმით, თუ როგორ ეტყვა იგი დამნაშავეს, ნაძირალას... სამართლიანი სასამართლოს უფლება არააოხრებასაც აქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით კი ამ განაჩენს საშინელი შედეგები მოჰყვება - და-

უსრულებელი, გულის გამანვრილებელი, მოსაზრებელი ყაფანი, უღირსი ადამიანის გმირად შერაცხვა, „ქართული ოცნების“ მედიის მშუსვრელად გამოცხადება... ვერც ერთ უცხოელ დამკვირვებელს ვერ მოსთხოვ საქართველოს საკითხებში ღრმად გარკვევას, საერთაშორისო ასპარეზზე დინამიკა სურათი, რომ ყოფილ პრეზიდენტს, მისი ტელევიზიის მეთაურს, ოპოზიციის ლიდერებს პანტაფონით იჭერენ და დევნიან. ირაკლი კობახიძისა და ნინო წილოსანის ინგლისურენოვანი პოდეკასტი საქმეს ვერ შევლის... დაჭერას სჯობდა გაეღარებინათ.

მოკლედ, მეცოდები საქართველოზე, ჩემო საყვარელო, როგორ დაუსრულებელ სიციარიელში გინევს ყოფნა. ლევან ლორთქიფანიძე





ენვერ ცჰიტიშვილი:



# თავშესაფრების მოწყობა 2015 წელს დაპინჯა!



თუ რას წარმოაგენს კომბინატი „აგროსტალი“, ქალაქი ქალაქში, რომელიც მარიუპოლელის თავშესაფრად და ბრძოლის ველად იქცა, „ნასტოიაშიჩეი პრემიასთან“ საუბარში „აგროსტალის“ გენერალური დირექტორი ენვერ ცჰიტიშვილი გვიყვება.

**— რა იყო ეს კომბინატი ომამდე?**  
— ისტორიულად ეს არის შავი მეტალურგიის ყველაზე მსხვილი საწარმო უკრაინაში. წელიწადში 6-7 მილიონ ტონა ლითონს ვამზადებდით, ყველა სახის ლითონს თავდაცვითი ინდუსტრიისთვის, მაგალითად, ჯავშნებს ტანკებისთვის. 800 სახის უნიკალური ლითონი გვქონდა, კიდევ 4,5 ათასი — კლასიფიკაციის მიხედვით, უზარმაზარი ასორტიმენტი. მოკლედ, ყველაფერი არმატურის გარდა.

**— „აგროსტალი“ ხშირად ამბობენ, რომ ეს არის ქალაქი ქალაქში. ეს რას ნიშნავს?**

— 2022 წლის 24 თებერვლამდე საწარმოში 10 837 ადამიანი მუშაობდა. ოჯახის წევრებთან ერთად ეს 20-25 ათასია, პლუს კონტრაქტორები და მათი ოჯახები. „აგროსტალთან“ სულ 35-40 ათასი ადამიანი იყო დაკავშირებული. ეს მათი ფინანსური კეთილდღეობის წყარო გახლდათ. სსრკ-ის არქიტექტურული მოთხოვნების მიხედვით, ყველა მეტალურგული საწარმო ვალდებული იყო, ჰქონოდა თავშესაფარი, როგორც ცალკე ნაგებობა მოსახლეობის დასაცავად. „აგროსტალში“ ასეთი 36 იყო, აქედან 34 მუშა მდგომარეობაში. ასევე აქ ყველაგან არის ტექნიკური გვირაბები. ეს ბეტონის სრულყოფილი ნაგებობებია. კომბინატში სართულებს შორის სათავსოებია. თითოეული გვირაბი რამდენიმე სართულზეა — 2-8 მეტრი სიღრმეში. თითოეულ საწარმოს ქვეშ მრავალსართულიანი სახლი ჩამარხეს. ყველაფერი ბეტონისაა.

გვირაბების სიგრძე დაახლოებით 5 კილომეტრია, რადგან თავად საწარმოთა კილომეტრებზე განლაგებული იქ რამდენიმე გვირაბია. ერთხელ ვცადეთ ნახაზებით დაგვეთვალა. 6 კილომეტრამდე რომ ავიდა, ვიცინეთ და შევეშვი. იქ 75 კილომეტრი მხოლოდ კაბელებია. ეს მართლაც მრავალსართულიანი ქალაქია, რომელიც მიწაში — 2-8 მეტრის სიღრმეში ჩადის.

**— ამიტომაც გახდა თავშესაფარი. როგორც ვხედავთ, თავდაპირველად იქ ძალიან ბევრი ცდილობდა თავის შეფარებას?**

— ჩვენ 2014 წელი გადავიტანეთ. 2015 წელს ამ არაადამიანებმა მარიუპოლს პირველად ესროლეს. მაშინ 30 კაცზე მეტი დაიღუპა, მათ შორის 11 „აგროსტალიდან“ იყო, მათგან 4 — ბავშვი. მაშინ კომპანიაში ძალიან სერიოზულად დაფიქრდით, ჩვენ პირდაპირ იქ ვიყავით, სადაც მტრის არტილერია ადვილად მოგვწვდებოდა.

2015 წელს ვიფიქრეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ჩვენი ხალხი გაგვეწვრთნა და თავშესაფარი წესრიგში მოგვეყვანა. ჩვენ გვაქვს ფილმები, რომლებშიც ახსნილია, სად და როგორ უნდა ჩახვიდე. საწარმოს რომელი დანაყოფი საით უნდა წავიდეს. 34 თავშესაფარში ერთდროულად 12 ათასი ადამიანი შეიძლება იყოს. 3-4 ასეთი წერტილის შემდეგ თანამშრომლებმა ისწავლეს, როგორ უნდა გაეკეთებინათ ევაკუაცია 2 წუთსა და 40 წამში.

არასოდეს გვიფიქრია, რომ ავიაციური დარტყმები გვემუქრებოდა, რომ ჩამოგდებდნენ ბომბებს, რომელთა წო-

ნა 500 კილოგრამიდან 5 ტონამდე მერყეობს. ყოველი შემთხვევისთვის, დავინყეთ წყლისა და პროდუქტების მარაგება. რაღაც რაოდენობის წყალი და ინდივიდუალური სასურსათო შეკვრები გვქონდა სასაადილოს მაცივრებში. ვფიქრობდით, ეს გვირაბებში დაგვემალა, რადგან თავშესაფრებში ხალხი იქნებოდა. ხალხს მოვუწოდეთ, თუ მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა, მაშინვე კომბინატში შემოცვენილიყვნენ, თავშესაფრებში. დაცვას ვუთხარით, ყველა შემოეშვათ, თანამშრომელი იქნებოდა ის თუ არა.

**— მეც კი, ვინც არასდროს ვყოფილვარ მარიუპოლში, მიმიძის ამის მოსმენა. თან ვხედავ, როგორი სიყვარულით საუბრობთ კომბინატზე.**

— ჩვენ ის ძალიან გვიყვარს, ჩვენი ლაზი „აგროსტალი“. როდესაც ინტერნეტით გავრცელებულ კადრებს ვუყურებ, ცრემლები მომდის. როგორც დირექტორი, ყველა თანამშრომელს ვიცნობდი, მათი ოჯახების წევრებს. იყო შემთხვევები, როდესაც მინდოდა თანამშრომელი უფრო დამეინტერესებინა და სახლში მის ახლობლებს ისე ვურეკავდი, როგორც სკოლიდან რეკავენ ხოლმე: „კლავია ივანოვნა, შეგიძლია როგორც დედამ რამე გავლენა მოახდინოთ? უკვე სამჯერ ვესაუბრე, მაგრამ მე არ მიჯერებს...“

**— რამდენი წელი იმუშავებთ იქ?**

— 12 წელი.

**— იცით, ომის დაწყებისას რამდენი ადამიანი იყო კომბინატში?**

— პირველი 4-5 დღე საწარმოს გაჩერებას მოვანდომეთ. არც საბჭოთა კავ-

შირისა და არც დამოუკიდებელი უკრაინის პერიოდში ის მთლიანად არ გაჩერებულა. ინსტრუქცია ყველა ნიუნსს არ ითვალისწინებს.

ერთმანეთთან ვტყობდით. გავაჩერეთ ისე, რომ მავნე აირები ატმოსფეროში არ მოხვედრილიყო, საწვავი არ დაღვრილიყო და ა.შ. ხალხი ტყვიების ქვეშ მუშაობდა. საწარმოს ხელმძღვანელებმა აიყვანეს ორი სასწრაფო დახმარების მანქანა, რომლებიც „აგროსტალის“ ტერიტორიაზე იდგნენ, თვითონ დასხდნენ საჭესთან და ქალაქში ხალხის შეგროვებას შეუდგნენ, საწარმოში მოჰყავდათ. 300 კაცამდე შეაგროვეს. სამი დღის შემდეგ რუსულმა ჯარმა სასწრაფოსაც გაუხსნა ცეცხლი. ორი მანქანა დაცხრილეს. მერე უკვე სახლებში დავდიოდით, ვაფრთხილებდით, ვეძახდით. ეს ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, როცა „აგროსტალის“ ბატილიონი, მესაზღვრეები და საზღვაო საქვეითო დანაყოფი ქალაქს ამარაგებდა. როცა ჯერ კიდევ არ იბრძოდნენ შიგ ქალაქში.

თუ ადამიანი 5 დღე წყლის გარეშეა, მას თირკმლების უკმარისობა, საშინელი თავის ტკივილები ეწყება. 7-9 დღე უკვე ვერ ძლებს, ტკივილებისგან იკლავება. საომარი მოქმედებების წინ ტექნიკური მიზნებისთვის ოსმოსის ორი მოწყობილობა შევიძინეთ. უკუოსმოსის სისტემის მეშვეობით სუფთა სასმელ წყალს ვიღებთ. პირველ რიგში ეს აპარატურა გადავარჩინეთ. დაასხით ნებისმიერი წყალი, თუნდაც ტექნიკური, თუნდაც კანალიზაციიდან და მეორე მხარეს ნამდვილი H<sub>2</sub>O გამოვა...  
**კსენია სოკოლიანსკაია**



# რა გიგოთ და რას დაგამსგამსათ ამ აგაზაგამ გგარაგოშიამ, ნახიდოლოგის ტრფიალნი!

**თაა წულუკიანი: გვარამია კომპანიის შვიდ მილიონ ლარამდე ქონებრივი უფლებები გაუღანაბა მისივე პირადი ინტერესების სასარგებლოდ. თუ ეს არ არის დანაშაული, მაშინ არ ვიხი. რა არის დანაშაული!**

როდესაც სტრასბურგის სასამართლოში დავას ვანარმოებდი, მე თვითონ ფაქტებით ვხედავდი, რომ მისი (ნიკა გვარამია) მთავარი მიზანი იყო სისწრაფე და საუკეთესო შემთხვევაში, „რუსთავი 2“-ის გაკოტრება, რომ აზრი აღარ ჰქონოდა ამ კომპანიის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა კულტურის მინისტრმა თაა წულუკიანმა განაცხადა. განაჩენის თანახმად, ეს ფაქტები, რომლის ჩადენასაც ნიკა გვარამიას საყვედურობდა პროკურატურა, დადასტურებულია და აღარ არის ვარაუდი.

„არ მგონია, რომ ნიკა გვარამიასთან საქიროა ენის მოჩლექით საუბარი. სასამართლოს გადანყვეტილებით დადასტურებულია სისხლის სამართლის დანაშაული, მისჯილი აქვს სასჯელი. მას აქვს კონსტიტუციური უფლება და გამოიყენებს კიდევ, რომ ეს განაჩენი გაასაჩივროს.“

განაჩენი ამბობს ასევე, რომ სასჯელი უნდა მოიხადოს არა პირობითობის მიხედვით, არამედ ციხეში. შესაბამისად, ის იქნა დაკავებული სასჯელის მოხდის მიზნით, ეს არის სამართლებრივი რეალობა. არ გამიკვირდება, რომ ის პირები, ვის-

თანაც თავის დროზე ჩვენ დავას ვანარმოებდით სტრასბურგის სასამართლოში, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ამბობდნენ, რომ „რუსთავი 2“ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ნიკა გვარამიას არ ჰქონდათ მიტაცებული, დღეს ამბობენ, რომ ნიკა გვარამიას არ მიუტაცია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი თანხები. რა თქმა უნდა, ისინი ამას იტყვიან, მაგრამ რეალობა არის ის, რომ ვეროპულმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ნიკა გვარამიას ჰქონდათ მიტაცებული. ეს დავა ჩვენ მოვიგეთ სტრასბურგის სასამართლოში, მე პირადად ვიყავი ამაში ჩართული. ფაქტები შეიძლება, ცოტა მეტად და კარგად ვიცოდე. შემდეგ უკვე ჩვენ „რუსთავი 2“-ის დაბრუნება საჯარო რეესტრში განვახორციელეთ კანონიერი მესაკუთრისთვის, დღეს ვისმინთ, რომ არაფერი მომხდარა, მაგრამ ფაქტები არის ძალიან მძიმე.

ფაქტები არის მაგალითად ის, რომ როდესაც ჩვენ სტრასბურგის სასამართლოში დავას ვანარმოებდით, მე პირადად ვხედავდი, რომ ნიკა გვარამია, როგორც „რუსთავი 2“-ის გენდირექტორი, რომელიც კერძო კომპანიაა, დაკავებული იყო, როგორც ამას სალაპარაკო ენაზე ვუწო-

დებთ ხოლმე, კომპანიის კუთვნილი თანხების სწრაფი ტემპით გადაქაჩვით მის მიერვე დაფუძნებულ კერძო კომპანიაში. ის არის ყოფილი პროკურორი, ის ჩემსავით კარგად ხედავდა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეს სტრასბურგში ვერ მოიგებდა, ამიტომაც ის იყო თანხების გადაქაჩვით დაკავებული „რუსთავი 2“-დან მის მიერ დაფუძნებულ კომპანიაში. ეს არის ფაქტი და რეალობა, ამისთვის მიესაჯა ის, რაც მიესაჯა. როდესაც სტრასბურგის სასამართლოში დავას ვანარმოებდი, მე თვითონ ფაქტებით ვხედავდი, რომ მისი მთავარი მიზანი იყო სისწრაფე და საუკეთესო შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის გაკოტრება, რომ აზრი აღარ ჰქონოდა ამ კომპანიის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას. მან ეს ბოლომდე ვერ შეძლო, მაგრამ შეძლო ის, რომ შვიდი მილიონ ლარამდე ქონებრივი უფლებები გაფლანგა მის მიერვე დაფუძნებული კომპანიის და მისივე პირადი ინტერესების სასარგებლოდ. თუ ეს არ არის დანაშაული, მაშინ არ ვიცი, რა არის დანაშაული. ამიტომ, ყველანაირი თავში ცემა, რომ ეს რა კარგი ბიჭი დავკარგეთ, არის უსაგნო, უსაფუძვლო სამართლებრივად. მე „რუსთავი 2“-ს ვუსურვებ ამ თანხების როგორცაა დაბრუნებას, სამართლებრივი ბერკეტები არის ამის, რაც არ უნდა გვეწვენიოდეს, რომ ეს დავა შეიძლება ცოტა გართულებული იყოს, რადგან დრო არის გასული. მესმის, რომ რეალობა მწარეა. არ მიკვირს იმ ადამიანების კრიტიკა, რომ ნიკა გვარამია უდანაშაულოა, ვინც თავის დროზე ამბობდა, რომ „რუსთავი 2“ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს მიტაცებულიო“...



# „ნებარ არიან მორწმუნენი“!



**NATO მოსალოდნელ გაფართოებასა და თურქეთის პოზიციებზე, ამ კონტექსტში საქართველოს მანქანებზე, რუსეთის რიგორიკის ცვლილებებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე ინტერვიუ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორთან, საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტ ბიორბი ბობრონიძესთან.**

– ბიორბი, ბევრმა თურქეთის ნეგატიური დამოკიდებულება ფინეთის და შვედეთის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დასავლეთთან ვაჭრობის მცდელობად, ე.წ. „ზიგზაგისებური პოლიტიკის“ (რომელსაც ის დასავლეთსა და რუსეთს შორის ახორციელებს) ნაწილად შეაფასა. თქვენი დაკვირვებით რასთან გვაქვს საქმე?

– ფინეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ გააკეთა განცხადება და ყველაზე მარტივად ახსნაც სწორედ ეს არის – თურქეთი ცდილობს, ამ ვაჭრობით დასავლეთიდან თავისი მაქსიმუმი აიღოს. შესაძლებელია, მან დრო გაწვავა და არც ისაა გამორიცხული, სხვა პირობებში წამოაყენოს. ბევრი რამეა დამოკიდებული ჩვენს დიპლომატიკაზე, სხვა გარემოებებზეც და აქედან გამომდინარე, თურქეთი შესაძლოა, შეეცადოს, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერით მიიღოს მისთვის სასურველი პოზიციები კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის რეგიონებში – შეეცდება, მოცემულ რეგიონებში ის იყოს მთავარი გადამწყვეტილები მემბლერ უსაფრთხოების კრიზისებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით: ის დაინტერესებულია, საბოლოოდ შედგეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმღებ-გამაზიანებლებად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის (აზიიდან ევროპისკენ და პირიქით ტვირთების მოძრაობა); შეეცდება, აშშ-ს გამოსძალოს დათმობები იგივე სირიის და ერაყის ჩრდილოეთთან მიმართებაში; ვხედავთ, რომ ბოლო დროს ის უკიდურესად გააქტიურებული ცენტრალური აზიის მიმართულებით – არც ისე დიდი ხნის წინ ყაზახეთთან გააფორმა სამხედრო ხელშეკრულება, რაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო რუსეთის ფედერაციისთვის, რომელიც ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს მასზე დაქვემდებარებულ ქვეყნებად მოიაზრებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ცხადია, ანკარა შეეცდება, შექმნას მომენტი, რომ თურქეთი იყოს მოცემული სივრცის ძირითადი და ფუნდამენტური აქტორი. ასევე შეიძლება, შეეცადოს შეიარაღებულ პროგრამებში დაბრუნებას, რომლიდანაც თავის დროზე ჩაიხსნა და ამ მიმართულებით გამოსძალოს დათმობები დასავლურ კოალიციას. გარდა ამისა, მას მიგრანტების პრობლემა ჰქონდა. ძალიან ბევრი თემაა და ეს მისთვის შესაძლებლობაა, რომელსაც გამოიყენებს. ვფიქრობ, საკმაოდ რთული მოლაპარაკებები იქნება, რადგან თურქეთი არ ენევა მარტივ დიპლომატიას. მთავარია, რა ფასის გადახდისთვის იქნება მზად კოლექტიური დასავლეთი ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანების გამო.

– ბრძანეთ, „გააჩნია, ჩვენი დიპლომატიკა როგორ იმუშავებენ“...

– შესაძლოა, ერთ-ერთი პირობა იყოს: თურქეთისთვის საქართველოს ნატოში გაწევრიანება ძალიან საინტერესოა და

ბევრ შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის – სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსული გავლენების შეკავების. თუ საქართველო იქნება ნატოს წევრი სახელმწიფო, იგივე ალიანსის ფარგლებში საქართველოს და თურქეთს ექნება შესაძლებლობა, გახსნილ ითანამშრომლონ სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში, შავი ზღვის აკვატორიაში მნიშვნელოვნად შეიზღუდება რუსეთის პოზიციები. ამას ჩვენი მხრიდანაც სჭირდება მონდომება და საუბარი, რომ იგივე ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანება თუ შეიძლება დაჩქარებულად, ჩვენ რომ ამდენი წელი ვწვალბობთ, ამ მიმართულებითაც შეიზღუდოს თავი. ამ შემთხვე-

ვაში თურქეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც შეიძლება, გამოგვადგეს, როგორც ლობისტი, მით უფრო, რომ ამას თურქეთი ყოველთვის აკეთებს – ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე წევრსაქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხს. შესაბამისად, ეს არის შესაძლებლობა ჩვენთვის. მეორე საკითხია, გამოვიყენებთ თუ არა.

## ვეტო ერდოღანის ხელში და საქართველოს შანსი, თურქეთისთვის ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთ პირობად იქცეას



ვაში თურქეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც შეიძლება, გამოგვადგეს, როგორც ლობისტი, მით უფრო, რომ ამას თურქეთი ყოველთვის აკეთებს – ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე წევრსაქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხს. შესაბამისად, ეს არის შესაძლებლობა ჩვენთვის. მეორე საკითხია, გამოვიყენებთ თუ არა.

– მით უფრო, რომ ყველა იმ არგუმენტის გაბათილების შესაძლებლობა იქნება, რომელთაც კულუარებში ნატოს წევრობის კონტექსტში ჩვენს წინააღმდეგ იყენებდნენ: თუ ვსაუბრობთ დემოკრატიის კუთხით პრობლემებზე, ამ მიმართულებით თავად ნატოს წევრებსაც აქვთ გამოწვევები; თუ ვსაუბრობთ ოკუპაციაზე, არსებობს გერმანიის მაგალითი; ხოლო თუ ვსაუბრობთ რუსეთის გაღიზიანებაზე და გარდამავალ, ანუ მაპიდან განწევრიანებამდე პერიოდზე, ეს ფინეთის შემთხვევაში ფაქტორი არ აღმოჩნდა...

– კი ბატონო. სწორედ ამას ვუსვამ ხაზს, რომ ეს მომენტი შესაძლოა, გამოვიყენოთ და თუ უშუალოდ ჩვენ არ გვაქვს ნატოზე ზეწოლა ბერკეტი, არსებობს ალიანსის წევრი თურქეთი, რომელსაც ამის გაკეთება შეუძლია. მთავარია, ჩვენ რამდენად მოვინდომებთ ამას, რას შევთავაზებთ თურქეთს, რამდენად პროაქტიულად ვიმუშავებთ მასთან და დავითანხმებთ, რადგან ეს საკითხი მის ინტერესშიცაა – საერთო ინტერესია. მაგრამ ვიმეორებ, მთავარია, რას გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ინტერესი განხორციელდეს.

– აქვე მინდა, გკითხოთ, რა უშლის ხელს, თურქეთთან გვექონდეს იმგვარი სამხედრო შეთანხმება, როგორც მაგალითად, ბაქო-სა და ანკარას აქვთ ცხადია, გვესმის ისიც, რომ ამ ორ ქვეყანას ერთი ვერი – ორი სახელმწიფოს კონტექსტში განსხვავებული ურთიერთობები აკავშირებს...

– დიდი ხანია, დაგვიდგა დრო, როდესაც ნატოს მიღმა უნდა ვეძებდეთ ალიანსებს და დიხა, თურქეთი არის ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო. სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ იდეის დისკრედი-

კერტის ბრძოლიდან (1071 წელი – რედ.) დავიწყებთ (როდესაც თურქული ელემენტი ძალიან გაძლიერდა ანატოლიის ნახევარკუნძულზე და სელჩუკებმა შეძლეს ბიზანტიის იმპერატორის დატყვევება), გამოვივივარო „დიდი თურქობის“ პერიოდიდან (1080 წელი – რედ.) და იქიდან მოყოლებული ვუსხენებთ თურქეთს წყნებს. ეს არაა სწორი. მეორე – ჩვენ დღეს სახელმწიფოებრივად შენარჩუნების საკითხი გვიდგას. ამგვარი ანტითურქული რიტორიკით თავს გრდემლსა და უროს (თურქეთსა და უროს) შორის ვაყენებთ. სამწუხაროდ, ესაა ჩვენი გეოგრაფიული მოცემულობა, რომ გაჭყვდილებით ვართ ამ ორ დიდ ძალას შორის და გვაქვს შანსი, ერთი მეორე ძალის დამაბალანსებლად გამოვიყენოთ.

ამას ვაკეთებდით ყოველთვის. თუ ისტორიულ სამართლიანობაზე მიდგა საუბარი, არ მგონია, ჩვენი წინაპრები გიჟდებოდნენ ირანსა და ოსმალეთზე, ბიზანტიასა და არაბეთზე, მათ ერთმანეთს რომ უპირისპირებდნენ რეგიონში. ამას ვაკეთებდით იმისთვის, რომ გადავრჩენილიყავით. რატომღაც ეს ლავრების უნარი დავკარგეთ და უკომპრომისოდ დავინწყეთ წარსულის ტრავმებზე საუბარი. დღეს ტაო-კლარჯეთი კი არა, იმის რისკი გვაქვს, თბილისიდან ქუთაისამდე არ დავრჩეთ. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და დღეს რა ფარგლებშიც ვარსებობთ, იმ ფარგლებში გადაჩვენაზე ვიფიქროთ და არა იმაზე, ოდესმე ვადავც რაღაც ჩვენი რომ იყო. თუ ამავ ლოგიკით წავალთ, თქვენ წარმოიდგინეთ, იტალიასაც შეუძლია, საქართველოში ტერიტორიული პრეტენზიები გამოთქვას – თავის დროზე, გონიოში რომ მაული გარნიზონი იდგა (1 საუკუნე – რედ.), ხოლო უფლისციხესთან პომპეუსი იყო მოსული (ძვ. წ. 65 წელი – რედ.), და რაზე გვაქვს საუბარი?

– კვლავ ნატოს გაფართოებას რომ დავუბრუნდეთ. სამხედრო ნაბიჯით და ბირთვული ომით მუქარის შემდეგ კრემლში შეიძლება ითქვას, რომ რიტორიკა შეცვა-

ლეს, „არსებითად არაფერი იცვლება“...

– იმიტომ, რომ ჩვენგან განსხვავებით, ფინეთს და შვედეთს რუსეთი „უკანა ეზოდ“ არ აღიქვამს. მას მსგავსი გართულება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე აქვს, რომელთაც ის აღიქვამს არა როგორც სუვერენულ მებობლებად, არამედ ტერიტორიულ დანაკარგად. ამდენად, თუ არსებობს ტერიტორიული დანაკარგი, არსებობს მისი დაბრუნების დღის წესრიგიც და ესაა პრობლემა. ცნობილი ფინურ-საბჭოთა ომის შემდეგ რუსეთი ფინეთში არ შეჭრილა ტერიტორიების დასაკავებლად, ჩვენთან კი ორი კონფლიქტის სრული ორკესტრირება მოახდინა; ჩაერია შიდაპოლიტიკურ პროცესებში, რომელიც სამოქალაქო ომით დამთავრდა; 2008 წელს განახორციელა პირდაპირ აგრესია – მეტი რა უნდა გააკეთოს ამ ქვეყანამ, ჩვენთვის გასაგები რომ გახდეს, რომ მისთვის „უკანა ეზო“ ვართ.

ამდენად, ჩვენ ბევრად დიდი რისკის ქვეშ ვართ. მოსკოვში არავის ანუხებს ილუზია, რომ დედამიწაზე ვილაცას მოუნდება, ისევე დაიპყროს რუსეთის ტერიტორიები, როგორც ამას თავად აკეთებს. ეს ვის რაში სჭირდება? რუსეთის მიმართით არსებობს კონკრეტული ეკონომიკური ინტერესი, რომლის რეალიზებაც მარტივი გახდება, როდესაც პუტინის ამ უაზრო გადაწყვეტილებით, რუსეთის ეკონომიკა ძალიან მძიმე ფაზაში შევა.

მათ კარგად ესმით, რომ არავინ აპირებს რუსეთის დაპყრობას, მაგრამ რეალურად ორი რამის შიში აქვთ: თუ პოსტსაბჭოთა სამყაროს წარმომადგენელი სახელმწიფოები შევლენ ნატოში, ისინი დაკარგავენ ამ ტერიტორიებს (როგორც ამას თავად უყურებენ) და ველარასდროს დაიბრუნებენ. და მეორე – თუ ამ ქვეყნებში დაიწყოს დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი, გაჩნდება წარმატების მაგალითი, იმ პირობებში რომ რუსეთი მუდმივად ამტკიცებს, „ჩვენ უკეთ ვცხოვრობთ, ვიდრე ჩამოშლილი დასავლეთი“, მისი ავტორიტარული რეჟიმის მიმართ ქვეყნის შიგნით მალე გაჩნდება კითხვები: დასავლეთთან „ნავიდა“, რატომ ცხოვრობს კარგად, ხოლო ვინც რუსეთთანაა, რატომ რჩება იმავე სანაგვეში? სწორედ ამის – შიდა რყევების, საზოგადოების გამოფხიზლება აშინებს რუსეთს. თითქოს ალიანსის აღმოსავლეთი გაფართოება აშინებდა და გადადგა იმგვარი ნაბიჯები, რამაც ნატო აღმოსავლეთ ფლანგზე გადააქცია ისეთ ძლიერ ალიანსად, როგორცაა ის ისტორიაში არასდროს ყოფილა. ერთადერთი, რაც რუსეთს უნდა ექნა, უნდა ყოფილიყო მშვიდად, არავინ დაეპყრო და ეთანამშრომლა ქვეყნებთან, მაგრამ მას თანამშრომლობა არ შეუძლია: განვითარების პროექტები მათთვის უფრო ძვირია, ბევრად ადვილია, ბევრი მოძველებული თუ ახალი ტექნიკა შეყარონ და საკუთარი ცოცხალი ძალა შეახოცონ მიზნების განხორციელებას.


წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღესაც რუსეთმა თქვას, რომ აღარ უნდა ცხინვალი და სოხუმი, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აპირებს საქართველოსთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას და ჩვენი ტერიტორიებიდან გაჰყავს ჯარები – რომელ ქართველ პოლიტიკოსს მოუნდება ევროკავშირსა და ნატოსა საქართველოს გაწევრება?! ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკური იმპერატივი, რომელსაც დღეს იძულების წესით ვახორციელებთ, რადგან რუსული საფრთხე გვაქვს. ეს საფრთხე რომ მოხსნას რუსეთმა და ფინანსური რესურსი ჩადოს სხვა მიმართულებით, მაგალითად, ინვესტიციების და გრანტების სახით, ვის მოუნდება ქვეყანაში კონსოლიდირებული დემოკრატიის შექმნა მთავრობიდან თუ ოპოზიციიდან? ვხედავთ, რომ ესენი არიან ჯგუფები, რომლებიც ძალაუფლებისთვის ყველაფერზე მიდიან და არ ფიქრობენ, რომ ქვეყანამ მათ შემდეგაც უნდა გააგრძელოს არსებობა. ძალაუფლების გადაბარება არავის უნდა ამ ქვეყანაში და ვიქნებით პატარა ავტორიტარული ქვეყანა, სადაც ბუნდერად იგრძნობენ თავს. მაგრამ რუსეთში ამაზე არ ფიქრობენ, რადგან მსგავს პარადიგმაში თანამშრომლობა არ შეუძლიათ...

„აქცენტი“





# მსოფლიოს გლობალურმა ინტერესებმა სისხლისმინიერი ქმეხი ქმართაგვლელ ომში ჩაითრია



გლობალური ინტერესების უსასტიკესი გამოვლინების ნამდვილი სახეა ომში ირიბად მონაწილე სახელმწიფოების მიერ მთავარი მიზნებისა და მოქმედებათა კონსპირაციისთვის არასაომარი სანქციების შეთანხმებულად გამოყენება. ფაქტობრივად, ეს ნამდვილი ჰიბრიდული ომის შემადგენელი ახალი სახეობაა, რომელიც რუსეთის „კომპლექსური დაუსტებისთვისა“ მიმართულია. ამ „ეფექტიან ავანტიურას“ ბევრი აღფრთოვანებული შეხვედა და შედეგებს სიხარულით მოელოს. მაგრამ ან უკვე დროა მათაც შენიშონ, რომ ამ სანქციებმა მოკლევადიან პერსპექტივაში „ეფექტიანად“ ვერ იმუშავა, უფრო ადამიანთა კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახა – ომი არ შეწყვეტილა, არც მისი დასრულების პერსპექტივა ჩანს, ყოველ დღეს ახალი „ცრემლი და ცხედრები“ მოაქვს, ცხოვრება უფრო გაძვირდა, კომარული გახდა. ამასთან, ადამიანის საკუთრებით უფლებასთან მიმართებაში ამ სანქციების სამართლებრივი გამართულობაც საეჭვოა; არსებობს მოლოდინი, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი მსოფლიოს შეცვლის. ეს, შესაძლოა, ასეც მოხდეს, თუ სამყარო მას გადაურჩა და საზოგადოება ამ მიმე გაკვეთილისგან დასკვნებს გააკეთებს, ადამიანურად თანაცხოვრებას ისწავლის. მოცემულ ვითარებაში კი, გადაჭარბებულია იმაზე მინიშნება, რომ უკრაინაში წყდება მშვიდობის, თავისუფლების, მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ბედის. ეს ასე არ არის. საქართველოს და სხვა ქვეყნების მომავალი გონივრულ ორიენტაციაზე დამოკიდებულია უფსკრულში გადაჩვენება თუ განვითარებაზე ყოველი ქვეყანა განაჩენს თვითონ ანერს ხელს.

დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ არა სისხლისღვრით, იარაღითა და ადამიანური მსხვერპლით. ყველა პრობლემა ქვეყნებს, ხალხებს და ადამიანებს შორის მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა წყდებადეს. უიარაღო ბრძოლა უფრო რთულია, გონივრებას, გამოცდილებას, წინგახედულობას საჭიროებს. მმართველობით იერარქიებში კი კრიმინალური ცნობიერება დომინირებს და როგორც ჩანს, მსოფლიო ამისთვის მზად არ არის.

მიმდინარე სამეცნიერო-სასიცოცხლო დაპირისპირება იმითაცაა გამოჩენილი, რომ ამ ომში ერთიანი ფართობით რუსეთის წინააღმდეგ სხვების ჩართვასაც ღიად ცდილობენ. მათ შორის, განსაკუთრებული საშიშვნი მოლოდინია და საქართველო. როდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „მეორე ფრონტის“ გახსნის მოთხოვნა უკრაინის პრეზიდენტის ოფისიდან მოდის. მონოდებები, ბრალდებები თუ შეწოლის სხვადასხვა გამოვლინებები, რომელიც საქართველოს მიმართ გაისმის ან ხორციელდება, უკვე გონივრულობის ზღვარს გადასცა და უკუროე აქციას იწვევს. მოქალაქეების შიშველი პატრიოტიზმის წინაფარება და კარგალებულ გალიაში დამწყვედული „გრიზის“ ხელჯობით ნაკლება აზრიან მოქმედებაში არ ჯდება, არც ქვეყნის სიყვარული და არც მოსახლეობის დაცვაზე პასუხისმგებლობა. ეს სიშველი და შიშველი უგუნურობა! მით უფრო, ამ ომის ფესვები შორიდან მოდის და განრიდებისთვის მსუყე გამოცდილება დიდი ხნით ადრე უკვე არსებობდა.

ახლაც, როცა ცეცხლი უკვე გიზგიზებს, უკრაინის პრეზიდენტი, სამშვიდობო ინიციატივების ნაცვლად, ხელეზგანვილი ყველას ევედრება: გვიშველეთ, იარაღი მომანოდეთ, გვერდში დამიდევით, ერთად გავანადგუროთ მტერი, ჩვენ გავიმარჯვებით, რუსეთს დავამარცხებთ. რომელ გამარჯვებაზე ან ვის დამარცხებაზე უნდა იკვეხნო ან დაიქადნო ასე, როცა აღმოსავლეთ-სამხრეთ უკრაინის ქალა-

**უკვე მერამდენედ, თუმცა ყველამ უნდა დაინახოს, რომ ვერც ერთი საერთაშორისო ინსტიტუტია, გაერთიანება თუ კავშირი ვერ აღმოჩნდა ავტორიტეტული და მშვიდობისმყოფელი. ვერც ერთმა შეიღო დამირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგომა და მათი სამშვიდობო დაშორიშორება. უფრო პირიქით ხდება – მათი სოლიდარობა, მონოდებები და დახმარება მიმართულია იქითვე, რომ ამ ომმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს, რუსეთის დასუსტებას უკრაინაც შესწიროს;**

**– ხალხი, მოქალაქეები (ჩვენთანაც და სხვაგანაც), გარიყულია ქვეყნის მართვის პროცესისგან. ვერ კიდევ სუსტია ან საერთოდ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება. მათ ნაცვლად გადაწყვეტილებას ხელისუფლებაში ხალხის სახელით მოსული „ლიდერები“ ლეზულობენ. მოსახლეობა ბრჭყვიალა დაპირებებსა თუ ყოფით პრობლემებში რჩება და სრულიად უცხო, გლობალური ინტერესების გამომხატველი მმართველობითი პროექტის მხოლოდ უნებლიე მონაწილე ხდება. ამიტომაც ყველა უბედურება (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური) ამ პროექტიებიდან იღებს სათავეს;**

**– სახვებით სწორად მოქცევა საქართველოს ხელისუფლებას, როცა სახიფათო გამოწვევებს არ აწყვეა, გარედან და შიგნიდან დაგებულ ხაფანგში არ გაიხლართა. სიფრთხილე, სიდინჯე, პირდაპირობა, პრინციპულობა, რაც მთავრობის ხელმძღვანელმა გამოავლინა, სულაც არ ნიშნავს შიშსა და სიმბდალეს – ასე უნდა იქცეოდეს გონიერი ხელისუფალი. მაგრამ ცალკეული ასეთი გამონათებების გარდა, ქართული პოლიტიკაც – ჩვენი პოზიციისა და ოპოზიციის შეზღვევულობა უმეტესობა, სახელისუფლებო მონაცვლეობის მართაში არის ჩართული და კოლიზის ცრუ ილუზიას ქმნიან, თითქოს განსხვავებულ მიზნებსა და ამოცანებს ხედავენ, სინამდვილეში კი სტრატეგიის გარეშე, შინაარსისგან დაცლილი, გარეგნული იერის, უსახური აქტორები არიან. მათი ურთიერთ ქიშპობა და დაუნდობელი წინააღმდეგობა ქვეყნის სასიკეთოდ არ მუშაობს;**

**– განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკაში შეინიშნება ახალი სახიფათო ტენდენციაც: საკანონმდებლო და აღმასრუ-**

**უკვე მერამდენედ, თუმცა ყველამ უნდა დაინახოს, რომ ვერც ერთი საერთაშორისო ინსტიტუტია, გაერთიანება თუ კავშირი ვერ აღმოჩნდა ავტორიტეტული და მშვიდობისმყოფელი. ვერც ერთმა შეიღო დამირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგომა და მათი სამშვიდობო დაშორიშორება. უფრო პირიქით ხდება – მათი სოლიდარობა, მონოდებები და დახმარება მიმართულია იქითვე, რომ ამ ომმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს, რუსეთის დასუსტებას უკრაინაც შესწიროს;**

**– ხალხი, მოქალაქეები (ჩვენთანაც და სხვაგანაც), გარიყულია ქვეყნის მართვის პროცესისგან. ვერ კიდევ სუსტია ან საერთოდ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება. მათ ნაცვლად გადაწყვეტილებას ხელისუფლებაში ხალხის სახელით მოსული „ლიდერები“ ლეზულობენ. მოსახლეობა ბრჭყვიალა დაპირებებსა თუ ყოფით პრობლემებში რჩება და სრულიად უცხო, გლობალური ინტერესების გამომხატველი მმართველობითი პროექტის მხოლოდ უნებლიე მონაწილე ხდება. ამიტომაც ყველა უბედურება (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური) ამ პროექტიებიდან იღებს სათავეს;**

**– სახვებით სწორად მოქცევა საქართველოს ხელისუფლებას, როცა სახიფათო გამოწვევებს არ აწყვეა, გარედან და შიგნიდან დაგებულ ხაფანგში არ გაიხლართა. სიფრთხილე, სიდინჯე, პირდაპირობა, პრინციპულობა, რაც მთავრობის ხელმძღვანელმა გამოავლინა, სულაც არ ნიშნავს შიშსა და სიმბდალეს – ასე უნდა იქცეოდეს გონიერი ხელისუფალი. მაგრამ ცალკეული ასეთი გამონათებების გარდა, ქართული პოლიტიკაც – ჩვენი პოზიციისა და ოპოზიციის შეზღვევულობა უმეტესობა, სახელისუფლებო მონაცვლეობის მართაში არის ჩართული და კოლიზის ცრუ ილუზიას ქმნიან, თითქოს განსხვავებულ მიზნებსა და ამოცანებს ხედავენ, სინამდვილეში კი სტრატეგიის გარეშე, შინაარსისგან დაცლილი, გარეგნული იერის, უსახური აქტორები არიან. მათი ურთიერთ ქიშპობა და დაუნდობელი წინააღმდეგობა ქვეყნის სასიკეთოდ არ მუშაობს;**

**– განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკაში შეინიშნება ახალი სახიფათო ტენდენციაც: საკანონმდებლო და აღმასრუ-**

**დასოცილებს ვინ მოაბრუნებს, დარჩენილებს ვინ აღუდგენს შირჩეულ ფსიქიკას?**

ყალბად აღქმული თავისუფლებით ფრთხილად და დამოუკიდებლობის ილუზიით მორქენალ „ხალხის მსახურებს“ უნდა ესმოდეთ, ხელისუფლის უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მოსახლეობა კი არ აიფაროს, არამედ განარიდო ქირისა და უბედურებას! მიუღწევად პროექტებში თუ „უზრუნველი ცხოვრების“ სატყუარა გაერთიანებებში შესვლა „მსხვერპლს მოითხოვს“ – იქ კარი ვითომ მუდმივად ღიაა მორჩილებისთვის, მაგრამ მკაცრი სტანდარტული წინაპირობების, გამოცდების ჩაბარების და კითხვებზე პასუხის გაცემის დამლავე პროცედურებთან ერთად, მიზანშეწონილობის უშეცდომო განსაზღვრაცაა აუცილებელი. სწორედ აქ იწყება გლობალურ ინტერესებისთვის მსხვერპლშენივლის აღმართი და გოლოგოთაზე ჯვრის აზიდვა ყველას ხვედრი როდია. დამოუკიდებლობა, თავისუფლება, უპირველესად, აზროვნებაში, მის ალქმაში კლინდება. უკრაინის ხელმძღვანელობა ამისთვის განწმენილი არ აღმოჩნდა!

მიმდინარე გლობალურმა დაპირისპირებამ ღია გაკვეთილები უკვე დადო და კატასტროფულ შედეგებს რომ განერიდოს, საზოგადოებამ მასში ყველაზე თვალხილული სამიზნეები მაინც უნდა შენიშნოს:

**– უკვე მერამდენედ, თუმცა ყველამ უნდა დაინახოს, რომ ვერც ერთი საერთაშორისო ინსტიტუტია, გაერთიანება თუ კავშირი ვერ აღმოჩნდა ავტორიტეტული და მშვიდობისმყოფელი. ვერც ერთმა შეიღო დამირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგომა და მათი სამშვიდობო დაშორიშორება. უფრო პირიქით ხდება – მათი სოლიდარობა, მონოდებები და დახმარება მიმართულია იქითვე, რომ ამ ომმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს, რუსეთის დასუსტებას უკრაინაც შესწიროს;**

**– ხალხი, მოქალაქეები (ჩვენთანაც და სხვაგანაც), გარიყულია ქვეყნის მართვის პროცესისგან. ვერ კიდევ სუსტია ან საერთოდ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება. მათ ნაცვლად გადაწყვეტილებას ხელისუფლებაში ხალხის სახელით მოსული „ლიდერები“ ლეზულობენ. მოსახლეობა ბრჭყვიალა დაპირებებსა თუ ყოფით პრობლემებში რჩება და სრულიად უცხო, გლობალური ინტერესების გამომხატველი მმართველობითი პროექტის მხოლოდ უნებლიე მონაწილე ხდება. ამიტომაც ყველა უბედურება (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური) ამ პროექტიებიდან იღებს სათავეს;**

**– სახვებით სწორად მოქცევა საქართველოს ხელისუფლებას, როცა სახიფათო გამოწვევებს არ აწყვეა, გარედან და შიგნიდან დაგებულ ხაფანგში არ გაიხლართა. სიფრთხილე, სიდინჯე, პირდაპირობა, პრინციპულობა, რაც მთავრობის ხელმძღვანელმა გამოავლინა, სულაც არ ნიშნავს შიშსა და სიმბდალეს – ასე უნდა იქცეოდეს გონიერი ხელისუფალი. მაგრამ ცალკეული ასეთი გამონათებების გარდა, ქართული პოლიტიკაც – ჩვენი პოზიციისა და ოპოზიციის შეზღვევულობა უმეტესობა, სახელისუფლებო მონაცვლეობის მართაში არის ჩართული და კოლიზის ცრუ ილუზიას ქმნიან, თითქოს განსხვავებულ მიზნებსა და ამოცანებს ხედავენ, სინამდვილეში კი სტრატეგიის გარეშე, შინაარსისგან დაცლილი, გარეგნული იერის, უსახური აქტორები არიან. მათი ურთიერთ ქიშპობა და დაუნდობელი წინააღმდეგობა ქვეყნის სასიკეთოდ არ მუშაობს;**

**– განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკაში შეინიშნება ახალი სახიფათო ტენდენციაც: საკანონმდებლო და აღმასრუ-**

**დასოცილებს ვინ მოაბრუნებს, დარჩენილებს ვინ აღუდგენს შირჩეულ ფსიქიკას?**

ყალბად აღქმული თავისუფლებით ფრთხილად და დამოუკიდებლობის ილუზიით მორქენალ „ხალხის მსახურებს“ უნდა ესმოდეთ, ხელისუფლის უპირველესი დანიშნულება ის არის, რომ მოსახლეობა კი არ აიფაროს, არამედ განარიდო ქირისა და უბედურებას! მიუღწევად პროექტებში თუ „უზრუნველი ცხოვრების“ სატყუარა გაერთიანებებში შესვლა „მსხვერპლს მოითხოვს“ – იქ კარი ვითომ მუდმივად ღიაა მორჩილებისთვის, მაგრამ მკაცრი სტანდარტული წინაპირობების, გამოცდების ჩაბარების და კითხვებზე პასუხის გაცემის დამლავე პროცედურებთან ერთად, მიზანშეწონილობის უშეცდომო განსაზღვრაცაა აუცილებელი. სწორედ აქ იწყება გლობალურ ინტერესებისთვის მსხვერპლშენივლის აღმართი და გოლოგოთაზე ჯვრის აზიდვა ყველას ხვედრი როდია. დამოუკიდებლობა, თავისუფლება, უპირველესად, აზროვნებაში, მის ალქმაში კლინდება. უკრაინის ხელმძღვანელობა ამისთვის განწმენილი არ აღმოჩნდა!

მიმდინარე გლობალურმა დაპირისპირებამ ღია გაკვეთილები უკვე დადო და კატასტროფულ შედეგებს რომ განერიდოს, საზოგადოებამ მასში ყველაზე თვალხილული სამიზნეები მაინც უნდა შენიშნოს:

ლებელ სტრუქტურებში მოდის ახალგაზრდული ნაკადი, რომელთაც უცხოეთში ყოფნის და მოკლევადიან კურსებზე სწავლის გარდა, არანაირი ცხოვრებისეული, სამსახურებრივი, პროფესიული გამოცდილება არ გააჩნიათ. ასეთი სითამამე ნიშნავს, აისბერგებს შორის მცურავი საოკეანო გემის მართვა სამხედრო ფლოტში უკომპასო ახალგაზრდული რიგის ანდო. ახალგაზრდების წინსვლის საწინააღმდეგო როგორ უნდა წამოგცდეს, თუმცა უნდა შენიშნოთ, თანამდებობების ასე ხელაღებით ჩამორიგება დანაშაულია! ქვეყნის მართვას, ხალხის სამსახურს გამოცდილება, ცოდნაზე დაფუძნებული შორსმჭვრეტელობა და მაღალი პასუხისმგებლობა სჭირდება, რაც ახალგაზრდულ მოტივირებულ „თინეიჯერს“ არ გააჩნია. ახალგაზრდობამ ვერ აღმართები უნდა აიაროს, დაუნჯდეს და მერე, გაკეთებული საქმეებით მოიოვოს ნდობა. ამიტომ ასეთი მავნე პრაქტიკისგან მალე უნდა განვითავისუფლდეთ;

– ისტორიული ბედუქუღმართობის გამო, რუსეთთან ურთიერთობის ყველაზე ხანგრძლივი და მწარე გამოცდილება ჩვენ გვერგო. რუსული აგრესიის ახალი გამოვლინებები ვერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ტერინამდვილეულად მართულ დესტრუქციულ ოპოზიციას რუსეთთან ყოველგვარი კავშირი ღალატად, დანაშაულად მიჩნია. მათ მხოლოდ დაპირისპირება და ძალის დემონსტრირება მიჩნიათ მართებულად. ეს გზა დამლუპველია რუსეთთან დიალოგი გარდაუვალია. სხვა თუ არაფერი, ჩვენმა „სამშობლოზე შეყვარებულმა“ ოპოზიციურმა ძალადობამ არანაკლებ გულანთებული წინაპირობის გმირული საქციელი გაიხსენოს თუ როგორ მიდიოდა მტერთან და ხალხის გადასარჩენად, მშვიდობის თუნდაც მცირე დროით გახანგრძლივებას უყოყმანოდ რომ ეწინერობდა;

– ომის ტოლფას საშინელებად იქცა ყალბი ყურნალისტიკა, თავაშვებული ტელევიზიები, სიტრუის ტირაფირება. მოვლენათა ტენდენციური გაშუქება და ბინძური ინფორმაციული ნიაღვარი ადამიანის გულმკერდს ტყვიასავით ატანს. დემაგოგია, ქორიკანობა, ცილისწამება არ განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს და კანონმდებელმა უნდა გამოახოს ასეთ განუკითხობაზე კონტროლის სამართლებრივი ფორმა.

– დაპირისპირების პრევენციისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სიმშვიდისთვის, აუცილებელია მსოფლიო ინტელექტუალური პოტენციალი ენერჯის ახალი წყაროების აღმოჩენასა და მათით ნავთობპროდუქტების ჩანაცვლების დამუშავებაზე დაუყოვნებლივ გადაერთოს. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობის ბიუჯეტი ენერგორესურსების რეალიზაციიდან შემოსავლებზეა მიმართული. ამდენად, ეს პროცესი არ იქნება უმტიკინეულო, მაგრამ ახალი წყაროების ძიების მიზანშეწონილობა უფრო მნიშვნელოვანია. ქვეყნების ხელისუფალთ უნდა ყვით გამხედრობა ამ პროცესის ხელი შეუწყოს და ბიუჯეტების შევსების ალტერნატიულ გზებზე იმუშაოს;

ცხადია, სხვაც ბევრია თავსატყვივარი პრობლემა და კაცობრიობამ, საზოგადოებამ თვითონვე უნდა იზრუნოს მათ გადასაჭრელად. სხვანაირად, ადამიანებს დანაშაულველზე მოუწევთ ბრმად გადაადგილება.

ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლება და ერთმანეთის გვამებზე გადავლით მიღწეული სხვისი კეთილდღეობა დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

**მსოფლიოს – მშვიდობა, ხალხს კეთილდღეობა სჭირდება!**

# რაც კარბია, კარბია!

## პროვულ მუზეუმს ისტორიული მნიშვნელობის სამოსი გალავს

მუზეუმისთვის რელიგიური და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ ლავრენტი წულაძის შესამოსელის გადაცემის ცერემონია გაიმართა. ისტორიული მნიშვნელობის სამოსი საჩუქრად მუზეუმს დეკანოზის ოჯახის წევრებმა გადასცეს.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს გვძლევს საშუალება, ქალბატონ ლედი წულაძეს თანდასწრებით, ოფიციალურად აქ გაიმართოს მისი ოჯახის მიერ ეროვნული მუზეუმისთვის დეკანოზი ლავრენტი წულაძის შესამოსელის გადაცემა.

იმ დროს, როცა ჩვენ ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა იყოს საქართველოს მომავალი, თავისი ევროპული მომავალი, აუცილებელია, გავისწავლოთ ის, რაც ხდებოდა საქართველოში იმ წლებში, როცა სუფევდა საბჭოთა წნეხი და როგორ ეპყრობოდნენ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც იმ დროს ამ ქვეყნის ერთ-ერთ ძლიერ ინტელექტუალურ საფუძველს, ეროვნულ ბაზას წარმოადგენდნენ.



დეკანოზი ლავრენტი წულაძე იმ რეჟიმის მსხვერპლი გახდა. დღეს, მისი სოფნა კვლავ არის და ეს სოფნა კიდევ უფრო გაძლიერდება მისი შესამოსელის ეროვნულ მუზეუმისათვის გადაცემით. ეს ნიშანია იმისა, რომ ჩვენი უახლოესი ისტორია არა მხოლოდ არ არის დავიწყებული, არამედ დღეს შეიძლება უფრო კარგად გავიაზროთ, თუ რას ნიშნავდა ეს და რამდენად გვაავლდებოდა. მესხიერება იმ წლების, იმ ძალიან მძიმე წლების არ უნდა დაიკარგოს. ეს ისტორია დიდნილად ოჯახებშია შენახული. ჩვენ რაღაც ფორმით უნდა შევავლოთ ეს ოჯახური მესხიერება, — აღნიშნა პრეზიდენტმა. ორბელიანების სასახლეში დეკანოზ ლავრენტი წულაძის მემორიალური ნივთები, ფოტოები და საარქივო მასალა გამოიფინა.

## ქართული კლასიკური მუსიკა - საფრანგეთის რადიოში

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ელისო ბოლქვაძის ინიციატივით, „Radio France“ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, სპეციალურ გადაცემებს მიუძღვნის.

ამ დღეს საფრანგეთის რადიოში ქართული კლასიკური და პოლიფონიური მუსიკა გაჟღერდება, რომელსაც მილიონობით ადამიანი მოუსმენს.

„ამ ფაქტით მოხარულნი ვართ, რადგან მსგავსი გადაცემები ქართული კულტურისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. კულტურის კომიტეტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის პარიზის ნაციონალური ასამბლეის კულტურისა და განათლების კომისიის პრეზიდენტს, ბრუნო სტუდერს თანამშრომლობისთვის“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.



# მუზეუმების ახალი სივრცე

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თაყაიშვილიმ მუზეუმების დღეს, 18 მაისს გამართულ გრიფინგზე საქართველოს მუზეუმების თანამშრომლებს მუზეუმების სავარაუდოდ დღე მიულოცა და საზოგადოებას საზოგადოებრივ განხილვას და დაგეგმილი რამდენიმე ინიციატივის შესახებ აცხადებდა.

მნიშვნელოვანია ენათაღმშენებლის სივრცეში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მთავარი თეონა ჯაყელი, სივრცეების სახელზე - კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი.

„გესურდა, რომ წელს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს კიდევ უფრო დიდი სიახლეებით შეგვედროდით, ვიდრე ეს შარშან, სამინისტროს შექმნიდან ორი თვის თავზე შევძელით. ამიტომაც, გადაწყვიტეთ, სწორედ დღეს გავუზიაროთ საზოგადოებას რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე მუზეუმის სფეროსთან დაკავშირებით.“ — განაცხადა კულტურის მინისტრმა. „ეს სიახლეებია:

1. კულტურის სამინისტროს ინიციატივით, იწყება ელენე ახვლედიანის სახელ-მუზეუმის რეაბილიტაცია. ელენე ახვლედიანის სახელ-მუზეუმს რემონტი მოეწეა 2002 წელს ჩაუტარდა. ამასთან, მიმდინარე წლის 30 აპრილს, სახელოვანებული შენობის სახურავს, რომლის მეორე სართულზე ელენე ახვლედიანის სახელ-მუზეუმის მღებარეობს, გაუჩნდა ხანძარი. ხანძრის შედეგების ლიკვიდაციასა და სახურავის აღდგენაზე ამჟამად მუშაობს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. რაც შეეხება საკუთრივ სახელ-მუზეუმსა და სივრცეს, სადაც ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მას რეაბილიტაცია კულტურის სამინისტროს მიერ ავთენტურობის სრული დაცვით ჩაუტარდება. ამჟამად მიმდინარეობს ექსპონატების შეფუთვა და დროებით ფონდებში გადატანა.

2. იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქანკასილი) დაბრუნდება 2006 წელს გაუქმებული თბილისის ისტორიის ამსახველი გამოფენა-ექსპოზიცია. ამ მუდმივმოქმედი ექსპოზიციის აღდგენის მიზნით, შედგენილია და მუშაობას იწყებს კონსერვაციის სამუშაო ჯგუფი. შედგება „ქანკასილი“ მოეწყობა თბილისის ისტორიის ამსახველი განახლებული მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, რომელიც ასახავს თბილისის უძველესი დასახლებების პერიოდისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდამდე დღესდღეობის ისტორიას. ამგვარი ექსპოზიცია არა მხოლოდ დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის იქნება საინტერესო, არამედ ის ასევე შეიძლება საერთაშორისო ტურისტების ინტერესებს უკმაყოფილოს და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტი გახდება პედაგოგებისთვისაც.

ინფორმაციისთვის, 1984 წლიდან 2006 წლამდე, მუზეუმში წარმოდგენილი იყო თბილისის ისტორიის ამსახველი გამოფენა, რომელიც ასახავდა ენოლოგიის ხანიდან 1921 წლამდე დროის მონაკვეთს. 2006 წელს, თბილისის ისტორიის მუზეუმის ეროვნულ მუზეუმთან გაერთიანების შემდეგ, აღნიშნული ექსპოზიცია მოიშალა უკეთესი და თანამედროვე ექსპოზიციის მოწყობის საბაზით, რაც დღემდე არ განხორ-

## სამუზეუმო სფეროს რამდენიმე სიახლე

ციელდება. მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შედეგად, 2013 წელს, გახდა შესაძლებელი დაკვირვება საექსპოზიციო სივრცის გახსნა და დროებითი გამოფენის მოწყობა სახელწოდებით — „თბილისი — მრავალეთნიკური ქალაქი“. თუმცა, ამჟამინდელი ექსპოზიცია მხოლოდ XIX — XX საუკუნეების თბილისურ ყოფას ასახავს.

3. კულტურის სამინისტრომ დაასრულა მოლაპარაკებები ირაკლი ფარჯანის ფონდის ეგიდით შესაბამის უცხოურ კომპანიებთან და 3 მაისს ხელი მოეწერა იმ ლაბორატორიის ფუნქციონირებისთვის საჭირო დანადგარების შესყიდვის ხელშეკრულებას, რომელზეც უნდა უზრუნველყოს საქართველოსა და რეგიონში ხელოვნების ნიმუშთა კომპლექსური საექსპერტო კვლევა, მათ შორის, ავთენტურობის დადგენა და შესაბამისი კვლევითი პროცესების ორგანიზება. ამგვარი მომსახურება დღეს საქართველოში არ არსებობს. ხელშეკრულების ღირებულებაა 1 375 000 ლარი. ხელოვნების ნიმუშების ექსპერტიზის ლაბორატორია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენილ კორპუსში განთავსდება. აღჭურვილობის შექმნის პარალელურად, რომელიც 7 თვეში უნდა დასრულდეს, იწყება ლაბორატორიისათვის საჭირო საკადრო რესურსის მომზადება მკაფიოდ.

4. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ე.წ. 80-იანი წლების შენობის ორი სართულის რეაბილიტაცია დასრულდა და დღეს უკვე შევძლებთ ეს თანამედროვე სივრცეები გავხსნათ და მოვიინახულოთ. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ორ სართულს (1200 კვმ). ეს სივრცე პასუხობს ისეთ მნიშვნელოვან სამუზეუმო სტანდარტებს, როგორცაა: დამთავალიერებლების, პერსონალისა და სხვა პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კოლექციების უსაფრთხოება და დაცვა, კომფორტი და შესაბამისი პირობები დამთავალიერებლისთვის, სათანადო სამუშაო პირობები პერსონალისთვის და სხვ. განემოწმებულ სივრცეებში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დონეები, მოძრაობის სენსორები, სიგნალიზაციისა და დისტანციური მეთვალყურეობის სისტემები, დეტექტორები, სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, ელექტრომომხარაგების ფუნქციები, არქიტექტურული პარამეტრები. რეაბილიტირებული ორი სართულიდან 200 კვმ არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგამოფენო სივრცე, რომელშიც ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურული ფრაგმენტების ფონდის ექსპოზიცია მოეწყობა; 100 კვმ ეთმობა ხელოვნების მუზეუმის მიმლითოთეკის ფონ-

დსაცავს, სადაც დაცულია თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტი, მათ შორის მიკროკლიმატი - ჰაერის კონდიციონირება, ტენიანობის კონტროლი, ჰაერის ფილტრაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ასევე, რეაბილიტირებულ სივრცეში მოეწყობა სამკვირვებლო და საოფისო ფართი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის 47 თანამშრომელი განთავსდა. ამჟამად, მიმდინარეობს ტენდერი შენობის მე-2-მე-6 სართულების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით. პროექტის სატენდერო დოკუმენტაცია 10 008 826 ლარია. შედეგად, უკვე 2024 წლისათვის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ჩვენ მივლდებით საქართველოში ყველაზე თანამედროვე საგამოფენო სივრცეს, ფონდსაცავს, საოფისო ფართსა და, როგორც უკვე აღინიშნა, ხე-

ლოვნების ნიმუშების ექსპერტიზის ლაბორატორიას.

5. დღეს არსდება კულტურის სამინისტროს უწყებრივი ჯილდო - საუკეთესო მუზეუმელი. მოცემული ინიციატივა ეკუთვნის სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს, ნიკა ახალმედიაშვილს, მთავარი თეონა ჯაყელს, სსიპ ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორს გიორგი კალანდიასა და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს ნინო ჭიპაშვილს. ჩვენ ვიმსჯელებთ და სამინისტროს მიერ ეს ინიციატივა იქნა გაზიარებული. შევთანხმდით, რომ მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლო კვირაში, კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩატარდება მუზეუმ-ელთა ასამბლეა, სადაც სამი საუკეთესო მუზეუმელი დაჯილდოვდება. უწყებრივი ჯილდოს მიზანია, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი მუზეუმების მუზეუმთა ჯგუფების თანამშრომელთა მიერ სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი წვლილის აღიარება-დაფასება, თანამშრომელთა წახალისება, მოტივაციის გაძლიერება და სამსახურებრივ ფუნქცია-მოვალეობათა შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. უწყებრივი ჯილდოთი ჯილდოვდებიან მუზეუმების/მუზეუმთა ჯგუფების მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობის შემთხვევაში: ა) სამუზეუმო საქმიანობასა და შესაბამისი მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის მქონე და ამ მხრივ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებისთვის; ბ) ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

6. მიმდინარე წლის 1 ივნისიდან გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმში (ე.წ. ღია ცის ქვეშ მუზეუმი) სტუმრობის მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ მუზეუმის სამგზავრო ავტობუსით, რომელიც კუს ტბის ასახველიდან ივლის ყოველ 30 წუთში ერთხელ, ყოველდღე 09:00-დან 20:00 საათამდე, რაც თბილისიდან და თბილისის სტუმრებს ღია ცის ქვეშ მუზეუმში მარტივად მოხვედრის საშუალებას მისცემს. დღისათვის, ღია ცის ქვეშ მუზეუმს მუნიციპალური ტრანსპორტი ვერ ემსახურება, რაც მუზეუმში მოხვედრის მსურველების უქმნილ ხარისხს, რათა ისარგებლონ თბილისის არსებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწვანე სივრცით, როგორც მუზეუმის დასათვალისწინებლად, ისე სუფთა ჰაერის სასიყვარულოდ. მგზავრები მუზეუმის ბილეთების შექმნას ავტობუსშივე შეძლებენ. ავტობუსი მხოლოდ მუზეუმის სტუმრების გადაადგილებას უზრუნველყოფს.

7. ქართული კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე, მოვისმინე რა, ასევე, არაერთი ხელოვნისა და პროფესიონალის მოსაზრება და მოთხოვნა, დღეს გაცნობებთ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც გულისხმობს ჩვენს სისტემაში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შექმნას. ეს გადაწყვეტილება მიღებულია, შესაბამისი შენობა მოძიებულია. დღეიდან ვიწყებთ კონსერვაციის სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებასა და ექსპონატების შეგროვებას. ყოველივე ამას დასაქმდება დრო, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესი წარმატებით დაგვირგვინდება“, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.



# ახალი შენობა გიორგი კალანდიაშვილის



მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ხელოვნების სასახლისთვის შეძენილი ახალი სამუზეუმო შენობის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, მუზეუმის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. მინისტრმა მუზეუმის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცა და ახალ სამუზეუმო შენობაში ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ახალი სამუზეუმო შენობა კულტურის სამინისტრომ ხელოვნების სასახლისთვის 2021 წელს შეიძინა. 400 კვ/მ-ზე მეტი ფართობის ისტორიული შენობა საქართველოს ხელოვნების სასახლის მომქანვედ მდებარეობს. მასში განთავსებულია საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ის კოლექციები, რომლებიც 3 წლის წინ ხელოვნების სასახლეს გადაეცა, მაგრამ აქამდე, მათი შენახვისათვის სპეციალური და უსაფრთხო სივრცე არ არსებობდა. კოლექციებს შორისაა ხალხური და გა-

მელიც მე-19 საუკუნეში ხელოვნების სასახლის (გრანდ ოლდენბურგის რეზიდენციის) ნაწილს წარმოადგენდა. კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახალი სამუზეუმო შენობა განახლდა და სრულფასოვან სამუზეუმო სივრცედ ჩამოყალიბდა. აქ განთავსებულია 5 სამუზეუმო ფონდი, სამუშაო ოთახები მუზეუმის თანამშრომლებისთვის და საგანმანათლებლო სივრცეები.

ხელოვნების სასახლის განახლებულ საექსპოზიციო დარბაზებში ვიზიტორებმა ასევე იხილეს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით სამშობლოში დაბრუნებული დასავლეთი ევროპული მხატვრობის ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 2021 წელს, ხელოვნების სასახლის სამუზეუმო ფონდები 44 უნიკალური ექსპონატით შეივსო, რისთვისაც სამინისტრომ 419 000 ლარი გამოყო. ნივთები მოიცავს XVI-XIX საუკუნეების კოლექციებს, მათ შორის ნივთებს, რომლებიც ეკუთვნოდათ დადიანებს, ოლდენბურგებს, სარაჯიშვილებს და ერისთავებს. ნახატების უმეტესობა საზღვარგარეთ გატანილი იყო სამჭოთა ოკუპაციის პერიოდში და სამშობლოს თითქმის საუკუნის შემდეგ 2021 წელს, კულტურის სამინისტროს ძალისხმევითა და ხელოვნების სასახლის დირექტორის, გიორგი კალანდიას აქტიური ჩართულობით დაუბრუნდა. ექსპონატებს შორისაა: მე-17 საუკუნის დიდი ნიდერლანდი ფერმწერის და გრანდისის მონტანის მონტანის (1613-1670 წ.წ.) „ამსტერდამელი ვაჭრის“ პორტრეტი; ნეაპოლიტანელი მხატვრის პაოლო დე მატეისის (1662-1728 წ.წ.) 1690 წელს შექმნილი ტილო „წმინდა კენაროს ამბალემა“; ნაპოლეონ III-ის კარის მხატვრის, ლუენის სასახლის ერთ-ერთი დეკორატორის შარლ მიულერის (1815-1892 წ.წ.) ტილო „ლაშაბი ანარეკლი“ და სხვა.

მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლეში დამთავალიერებლების მიღება უფასო იყო.



მოყენებითი ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაში 1911 წლიდან არსებული უნიკალური ქსოვილის, ასევე ვერცხლის ფონდები. უიშვიათესი კოლექციების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კულტურის სამინისტრომ სწრაფი რეაგირება მოახდინა ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელის, გიორგი კალანდიას შუამდგომლობაზე და სახელმწიფოს სახელით კერძო პირისგან შეიძინა ისტორიული ნაგებობა, რო-

# „აბრაჟინა კისკისაო, დადიანთა პრინცს მისცაო“!

## „საიდუმლო ოთახი“ ხელოვნების სასახლეში...

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლეში საინტერესო სიახლეებია დაგეგმილი, მათ შორის ერთ-ერთი ხელოვნების სასახლეში იმ „საიდუმლო ოთახის“ გახსნა, რომელიც ლეგენდარული სიყვარულის ისტორიას უკავშირდება. სიყვარულის ისტორიაზე და საიდუმლო ოთახზე რადიო „კომერსანტის“ ეთერში ლეგენდარული საავტორო გადაცემაში „ბრენდი საქართველო“ ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კალანდიამ ისაუბრა.

თვითონ კი ფლობდა რამდენიმე კომერციულ ორგანიზაციას და შამპანურის ქარხანას, იყო უცხოლო მაგრამ მექალთანე და ძალიან მოეწონა აგრადინა ჯაფარიძე, ძალიან დიდი ხანი ცდილობდა ამ გათხოვილი ქალის გულის მოგებას, მის მეუღლეს მილი-



როგორც გიორგი კალანდია აღნიშნა, ხელოვნების სასახლეში არის საიდუმლო ოთახი, რომელშიც პრინცი ოლდენბურგი და პრინცესა ოლდენბურგი აგრადინა ჯაფარიძე – დადიანისა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ლეგენდის თანახმად ოთახში მოსახვედრად ლაბირინთის და ხვეული კიბის გავლა იყო საჭირო.



„სასახლეში იყო და არის საიდუმლო ოთახი, სადაც პრინცი ოლდენბურგი და პრინცესა ოლდენბურგი აგრადინა ჯაფარიძე-დადიანისა ერთმანეთს ხვდებოდნენ, ოთახში მოსახვედრად მათ ლაბირინთი უნდა გაეფლოთ, ისინი ერთმანეთს საიდუმლოდ ხვდებოდნენ მანამ, სანამ იმპერატორისგან ნებართვას მიიღებდნენ და მათი ქორწინება ოფიციალურად შედგებოდა. ლეგენდის თანახმად, პრინცმა ოლდენბურგმა სიყვარულის კოშკი ააშენა და თავის გულის რჩეულს მიუძღვნა.“

ონი ოქროს თუმანიც კი შესთავაზა. ბოლოს ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა.

„აგრადინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო... ამ უკვდავი სიყვარულის ნიშნად აშენდა ეს სასახლე, მას სიყვარულის სასახლესაც კი ეძახდნენ, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ერთის მხრივ ის სამუზეუმო კოლექციები, რომელიც არის სასახლეში განთავსებული და შეიძლება ორგანულად ამ სასახლის ისტორიას არ უკავშირდებოდეს და მეორე თავად ეს თავგადასავალი, რომელიც სასახლის წარსულის განუყოფელი ნაწილია ერთმანეთთან დაეკავშირებინა, ამიტომ ჩვენთან მოსული დამთავალიერებელი ცდილობს ამ ორი ამბის ერთმანეთთან დაკავშირებას“, – აღნიშნა გიორგი კალანდიამ.

კალანდიას თქმით, ხელოვნების სასახლეში დანამდვილებით არ იცოდნენ, რომ ეს ოთახი ნამდვილად არსებობდა, სასახლის უხუცესმა თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ოთახის არსებობა იყო ლეგენდა, თუმცა შენობის რესტავრაციის დროს „საიდუმლო ოთახი“ მაინც აღმოაჩინეთ!..

თაქო კვაჭანტირაძე




## LEGO პან ბოზის „პარსკლავიანი ღამის“ ნაკრებს გამოუშვებს

ნაპრემი 25 წლის პონგ-კონგელმა ტრუმან ჩენმა შექმნა. მან თავისი პროექტი პლატფორმაზე LEGO Ideas გამოაქვეყნა, რომელზეც დიზაინერებს საკუთარი იდეების განთავსება შეუძლიათ. ამის შემდეგ, საჯარო ხმის მიცემით ვლინდება პროექტი, რომელსაც კომპანია უშვებს. „ვარსკვლავებიანი ღამე“ 2 316 ნაწილისგან შედგება, მათ შორისაა ვან გოგის პატარა ფიგურაც. ნაკრების ფასი 169.99 აშშ დოლარი იქნება. ნაკრები ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ზაფხულში გახდება.



## მიქელანჯელო 23 მილიონ ევროდ გაიყიდა

აძრამი ითვლებოდა, რომ ნახატი მიქელანჯელოს ერთ-ერთი მონაფის მიერ იყო შესრულებული, თუმცა 2019 წელს „Christie's“-ის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კალმითა და ყავისფერი მელნით შესრულებული ნახატი ავტორი თავად მიქელანჯელოა. აუქციონზე გაყიდვამდე ნახატი ჰონგ-კონგისა და ნიუ-იორკის გალერეებში იყო გამოფენილი.



ეს ბოლო რამდენიმე წელია, არ შეწყვეტილა ლაპარაკი ევროკავშირის გარდაქმნა-გაუმჯობესება-გამოცოცხლების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა 2019 წელს იყო, როცა გაერთიანების ხელმძღვანელობამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ევროკავშირის განვითარებისა და რეფორმების გეგმის მომზადების თხოვნით მიმართა. გეგმა უნდა განეხილა კონფერენციას, სახელწოდებით, ევროპის მომავალი, რომელიც მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში გაიმართა. კონფერენციის დასკვნითი სხდომა 9 მაისს შედგა, ანუ მაშინ, როცა ევროპის დღეს ზეიმობენ ხოლმე. ევროკავშირის რეფორმის გეგმების ნუსხა ავტორებმა სწორედ 9 მაისს, ევროპარლამენტის შენობაში, ოფიციალურად გადასცეს ევროკავშირის ხელმძღვანელს, ურსულა ფონ-დერ-ლაიენს და ევროპარლამენტის თავჯდომარეს რობერტა მეცოლას.

ნუსხაში აღბეჭდილია 49 წინადადება ევროკავშირის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება: ეკოლოგიას, ჯანდაცვას, ეკონომიკასა და დიგიტალიზაციის პერსპექტივას. წინადადებები დადებითად შეფასდა. რეფორმების ნუსხაში ყველაზე საკმაოთა აღმოჩნდა ევროკავშირში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურის გაუქმების საკითხი.

დღესდღეობით, ევროკავშირის ყველა გადაწყვეტილებას კავშირში შემავალი 27 ქვეყნის მეთაურმა უნდა დაუჭიროს მხარი. თუ რომელიმე ქვეყანა ინუნიტებს გადაწყვეტილებას, მას ვეტოს უფლება აქვს, რაც პროცესებს შესამჩნევად ანელებს და ზოგიერთ გადაწყვეტილებას საერთოდ ბლოკავს. ამიტომ, ბრიუსელი, ზოგადად, ვეტოს უფლების გაუქმებისა და საკითხის სხვათა უმრავლესობით გადაწყვეტის მომხრეა. ევროკავშირის ხელმძღვანელი, ურსულა ფონ-დერ-ლაიენი, გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღების პროცედურის გაუქმებას უჭერს მხარს. კონფერენციის დასრულების ცერემონიაზე, მან ევროპარლამენტის წინაშე განაცხადა, რომ, მისი აზრით, ერთობლივი კენჭისყრის წესის შენარჩუნება შინაარსში მოკლებულია. ჩვენ ერთად უნდა განვსაზღვროთ, თუ რა მიმართულებით გვსურს სვლა; სასურველია, გამიზნულ შედეგამდე ყველაზე პირდაპირი გზით მივიდეთ; ამისთვის კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ; ცხადია, ხელშეკრულების შეცვლა უნდა შესაძლებელია, თუ ამას საჭიროება გვიკარნახებს, თქვა ურსულა ფონ-დერ-ლაიენმა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, წერს ქვეყნებს ხელშეკრულების რეფორმირების საკითხზე სამსჯელოდ ივნისის საბჭოს სამიტი შესთავაზა. რეფორმების კატეგორიულად წინააღმდეგია ალმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, უნგრეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. მათი არგუმენტია ის, რომ ევროკავშირი, შეიძლება, ისეთი ძლიერი ქვეყნების დიქტატის ქვეშ აღმოჩნდეს, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია. ვეტო კი, ამ დიქტატის წინააღმდეგ გამოცდილი იარაღია.

სინამდვილეში, საქმე იმაშია, რომ ალმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ვეტოს უფლებას თითქმის ყველა საკითხზე იყენებს. შემდეგ კი, იწყება ვაჭრობა დიდ ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, ვეტოს უფლება შენატაჟისა და გამოძალის საშუალებად იქცა. ვეტოს ყველაზე ხშირად საგარეო ურთიერთობათა საკითხებში იყენებენ, რის გამოც, ევროკავშირი, ხშირად, საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს დაგვიანებით ეხმარება ხოლმე. ბრიუსელი უკვე კარგა ხანია ჩივის, რომ საერთო ევროპული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებელია, და ევროკავშირის უკვე მერამდენე კომისიარი საგარეო საქმეთა საკითხებში ვერაფერს ვერ წყვეტს. უკრაინის ომმა ეს ყველაფერი კარგად გამოაშკარავა. ევროკავშირის უჭირს ხოლმე სანქციების საერთო სიების შექმნა. ახლაც, სანქციების მეექვსე პაკეტი ჩავარდა, რადგან უნგრეთმა და ბულგარეთმა ვეტო დაადეს. ეს ქვეყნები რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესებას ეწინააღმდეგებიან. რეფორმების მომხრეთა სია დღითიდღე იზრდება. ამ სიას უკვე იტალია და ესპანეთი შეუერთდა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ გააკიცხა უნგრეთის და ბულგარეთის მთავრობა. მართლაც დარაგის აზრით, ამ ქვეყნების მეთაურები თავისი ეგოისტური გამოსტომებით ევროპის მთლიანობას საფრთხეს უქმნიან. რეფორმების ავტორების აზრით, ევროკავშირის ზოგიერთი რეფორმა, ასე ვთქვათ, ევროკავშირის ოქროს ხანაში არის დანერგილი. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ევროპაში ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი შეიჭრებოდა უკრაინაში. როგორც ევროკავშირის საგარეო საქმე-

თა კომისარმა ჟოზეფ ბორელმა აღნიშნა, უკრაინის ომმა ევროპა გამოაღვიძა. მისი თქმით, უკრაინის ომის საკითხში ევროპის ერთიანობამ ახალი, ძლიერი გეოპოლიტიკური ევროპა წარმოშვა. ასეთ ევროპას კი, სწრაფი და მყარი გადაწყვეტილებები სჭირდება ახალ გამოწვევათა საპასუხოდ.

**მიოცე საუკუნის მეორე ნახევარი ისტორიაში შევიდა, როგორც ორ მტრულ სამხედრო დაჯგუფებას, ნატოსა და ვარშავის პაქტს შორის გამაღებული შეიარაღებისა და ცივი ომის ხანა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ერთმანეთის პირისპირ იდგა დასავლეთი ევროპა ამერიკასა და კანადასთან ერთად, და აღმოსავლეთ ევროპა, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. წინააღმდეგობა კი, მათ შორის არაერთხელ გადაზრდილა შეიარაღებულ შეტაკებაში, მაგალითად, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. უნგრეთში 1956 წლის აჯანყებაზე ამას წინათ გვქონდა**

# 1. ევროკავშირის გარდაქმნა მოუხდება... 2. „პრადის გაზაფხულის“ გაკვეთილები



ვრცელი საუბარი. დღეს, ჩეხოსლოვაკიის ამბებზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ამ ცნობილ ისტორიულ მოვლენებს დღესაც აქვს თავისი მტკიცე გეოპოლიტიკური გამოძახილი. ჩეხოსლოვაკია ნაციონალური ოკუპაციისგან 1945 წელს გათავისუფლდა, მაგრამ მორიგ ოკუპაციას დიდხანს არ დაუყოვნებია: ჩეხეთში, ნაციზმი საბჭოთა კომუნისტური რეჟიმით შეიცვალა. 1948 წელს, სახელმწიფო ძალაუფლება კომუნისტების ხელში აღმოჩნდა, რასაც, ბუნებრივია, რეპრესიები მოჰყვა. 200 ათასზე მეტი ადამიანი მოხვდა მაშინ საპატიმროში. აქტიური რეპრესიული პოლიტიკა მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს შემსუბუქდა, მაგრამ მოსახლეობამ ეს არ იკმარა და ნამდვილი რეფორმების გატარება მოითხოვა. საამისო ვითარება ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს დადგა, როცა, იმავე წლის იანვარში, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად ალექსანდრ დუბჩეკი აირჩიეს. მისი არჩევა საბჭოთა ლიდერებსაც აძლევდა ხელს. დუბჩეკი მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდა და რუსული კარგად იცოდა. მისი ურთიერთობა მოსკოვთან ხაზგასმულად საქმიანი და კეთილგანზობილი იყო. მიუხედავად ამისა, მოსკოვის რჩეული, ახალი ჩეხი ლიდერი, მაინც საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას შეუდგა. დუბჩეკმა განახორციელა რეფორმები, რომელიც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოებისკენ, ქვეყანაში ხელისუფლების დეცენტრალიზაციისკენ და მედიავის კონტროლის შესუსტებისაკენ იყო მიმართული.

პარტიული ცენზურის შერბილების შედეგად, პრესაში გაჩნდა ღია დისკუსიები ქვეყნის პოლიტიკურ წყობასა და დემოკრატიულ არჩევნებზე, დაიბეჭდა ანტი-საბჭოთა პუბლიკაციები, მომრავლდა ახალ-ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რეფორმების ეს ნათელი ხანა, რომელიც შვიდი თვე გაგრძელდა, ისტორიაში „პრადის გაზაფხულის“ სახელწოდებით შევიდა. ეს იყო სოციალიზმის ახლებური ინტერპრეტაციის პირველი მცდელობა ჩეხეთში. საზოგადოებრივი გარდაქმნის საბოლოო მიზანი დუბჩეკმა 1968 წლის 18 ივლისს გააუქმრა: სოციალიზმი ადამიანური სახით. სოციალისტური ბანაკი, რომელიც ალმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირს აერთიანებდა, 1968 წელს სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა.

პრადის გაზაფხულის დემოკრატიული სულისკვეთება მოსკოვმა დიდ საფრთხედ აღიქვა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, იგივე კავ-

ებემ, ეს მოვლენები სოციალისტური წყობის ძირის გამოთხრად მიიჩნია და, არც თუ უსაფუძვლოდ, იფიქრა, რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობის შედეგად, ჩეხოსლოვაკია ვარშავის ხელშეკრულებას დატოვებდა. უფრო მეტიც, ალმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებსაც უბიძგებდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმისკენ. მაშინდელმა საბჭოთა ლიდერმა, ლენინდ ბრეჟნევმა, მკაცრად მოუწოდა ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას ქვეყანაში წესრიგის დამყარებისკენ. პოლიტიკურმა ზენოლამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, კრემლმა ნაცად ხერხს მიმართა, და საბჭოთა კავშირის მმართველმა ორგანომ, კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ, ჩეხოსლოვაკიაში ჯარის შეყვანა გადაწყვიტა. საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა 1956 წლის უნგრეთის ცნობილი მოვლენები და არჩია, ისევე ძალის გამოყენებით ჩაეხშო დემოკრატიული გარდაქმნები.

საბჭოთა კავშირი მართო რომ არ აღმოჩენილიყო მის წინააღმდეგ ამხედრებული საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის პირისპირ, გადაწყვიტა, მისი ეს ნაბიჯი ინტერნაციონალურ დახმარებად მოენათლა და პრალაში ტანკები სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად შეიყვანა. ეს იყო ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. იმ სამხედრო ოპერაციას დუნაი ეწოდა. საერთაშორისო დახმარების საფარქვეშ, 1968 წლის 21 აგვისტოს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ნახევარმილიონიანმა არმიამ ჩეხოსლოვაკიის საზღვრები ყველა მიმართულებით გადაკვეთა და ქვეყნის ოკუპაცია დაიწყო. კრემლმა, ინტერვენციის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ ჯარების შეყვანა მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის დასახმარებლად მოხდა. ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციაში 5 ქვეყნის 26 დივიზია და 5000 ტანკი მონაწილეობდა. პრადის რადიო ლამის 2 საათზე გაავრცელა ცნობა ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარების შემოჭრის შესახებ. მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებულ ძალებს ყაზარმებში დარჩენა უბრძანა. მოსახლეობას კი, სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებდა. და მაინც, შუალამისას, უბრალო მოქალაქეები ქუჩებში გამოვიდნენ და საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ დემონსტრაციები გამართეს. 21 აგვისტოს, საჯარისო ნაწილებმა მთავრობის სახლი, პრეზიდენტის სასახლე, გენერალური შტაბი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და რამდენიმე გამომცემლობა დაიკავეს. ბრძოლა გაიმართა რადიომაუწყებლობის შენობის შტურმის დროს, სადაც მოქალაქეებმა ავტომობილები და ტრამვაის ვაგონების ბარიკადები ააგეს. საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა ხალხი იმ ბარიკადებს. შეტაკებაში ათეულობით მოქალაქე დაიღუპა.

ოკუპანტებმა რამდენიმე საათში შეძლეს შენობის დაკავება, მაგრამ რადიომაუწყებლობა არ შეწყვეტილა, რადგან გადაცემები სათადარიგო სტუდიებიდან ხორციელდებოდა. პრადის ცენტრალური მოედანზე შეკრებილი ადამიანები საოკუპაციო ძალების მიმართ ზიზღს დაუფარავად გამოხატავდნენ. ჯარისკაცებს ქვეშ, ასფალტის ნატეხებსა და მოლოტოვის კოქტილებს უშეცდნენ. ჩეხოსლოვაკიის ბევრმა მოქალაქემ რუსული იცოდა და ცდილობდნენ, საბჭოთა სამხედროებისთვის იცხნათ, რომ ისინი შეცდომის შეიყვანეს და უიარალო ხალხის წინააღმდეგ გამოიყვანეს. შეჭრიდან 36 საათის შემდეგ, ვარშავის პაქტის ჯარებმა ჩეხოსლოვაკიაზე სრული კონტროლი დაამყარეს. ქალაქები საბჭოთა ჯარისკაცებით გაივსო.

**ინტერვენციის შედეგად, აგვისტოსა და სექტემბერში ჩეხოსლოვაკიის 108 მოქალაქე დაიღუპა, 500-მდე კი დაიჭრა. საბჭოთა არმიის დანაკარგმა 98 ჯარისკაცი შეადგინა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცეკას მეთაურები, დუბჩეკის ჩათვლით, დააპატიმრეს და მოსკოვში გადაიყვანეს ფარულად, რა თქმა უნდა, ყურის აწვევის მიზნით. კრემლმა აიძულა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობა, რომ კომპრომისულ განცხადებაზე მოეწერა ხელი. პრალაში დაბრუნებისთანავე, დუბჩეკმა ეს განცხადება რადიოთი წაიკითხა. თუმცა, ციყვობოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა და ენა ებმებოდა. ხალხი მიხვდა, რომ დუბჩეკი, რომელმაც ქვეყანას პრადის გაზაფხულის დამთავრება ამცნო, დააშინეს. მალე, დუბჩეკს პოსტი დაატოვებინეს და მის მაგივრად გუსტავ პუსაკი დანიშნეს. პრადის გაზაფხული საბჭოთა რევლუციებით, ცენზურითა და რეპრესიებით შეიცვალა.**

თანამედროვე ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ დუბჩეკის კომპრომისმა ქვეყანა დახვრეტებისა და მასობრივი დაპატიმრებებისგან იხსნა. 1968 წლის მოვლენების შემდეგ, ჩეხოსლოვაკია 30 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა, ძირითადად, ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც არ და ვერ ეგუებოდა საბჭოთა სისტემას. ამ ადამიანებიდან ერთ-ერთი იყო ცნობილი მწერალი მილან კუნდერა, რომელიც ასე გამოეხმაურა პრადის გაზაფხულს: ჩეხეთი ახლა სამუდამოდაა განწირული დუბჩეკივით, დადუმებული და დამწყურებული. დასრულდა ტკბილი და დადგა დამამცირებელი დრო.

პრადის გაზაფხული ფართოდ აისახა მუსიკასა და ლიტერატურაში. მან ღრმად კვალი დატოვა ისეთ მოღვაწეთა შემოქმედებაზე, როგორებიც არიან ვაცლავ შპეველი, იან შვანკმაიერი და მილან კუნდერა...

**ნუგზარ ბ. რუხაძე**  
POSTV





# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი სამოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 მაისის №1-1/211 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (EBRD) დაფინანსებით, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტროსისტემის განვითარების ახალი ჰესების („შუახევის“ და „აბალციხე-ბათუმის“ ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდგომში: „220 კვ ეგპ „აბალციხე-ბათუმის მშენებლობის პროექტი“)) პროექტის დანიშნულებას ახალი ჰესების („შუახევის“ და „კორომხეთის“ ჰესები) მშენებლობის შედეგად გამო-მუშავებული ელექტროენერჯის გადაცემა, განაწილება ან/და ექსპორტი. ახალი 220 კვ ეგპ „აბალციხე-ბათუმის“-ის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკულ სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220 კვ ეგპ „აბალციხე-ბათუმის“-ს მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგპ-ის ახლის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფ. პაპოშვილებში მდებარე მზიური ფუტკარაძის (პ/ნ: 61005010366), ავთანდილ ფუტკარაძის (C/N: 730587389), ავთანდილ ფუტკარაძის (C/N: 720985533) და ჯაბა ფუტკარაძის (C/N: 730488659) თანასაკუთრებაში არსებული, 950.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:24.04.32.230) ნაწილის, კერძოდ 6.00 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (6.00 კვ.მ-ის) წვდამის უზრუნველყოფის წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავდროულად მესაკუთრეებს მიენოდა ინფორმაცია, რომ მათი უფროსი შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ. ეგპ „აბალციხე-ბათუმის“-ს მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრეებთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განხილველი კომისიის მიერ.

2022 წლის 13 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/211 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებულ სუბიექტად დადგინდა „სსე“ და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფ. პაპოშვილებში მდებარე მზიური ფუტკარაძის (პ/ნ: 61005010366), ავთანდილ ფუტკარაძის (C/N: 730587389), ავთანდილ ფუტკარაძის (C/N: 720985533) და ჯაბა ფუტკარაძის (C/N: 730488659) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე: – უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 24.04.32.230; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 950.00 კვ.მ.-ის ნაწილი – 6.00 კვ.მ.

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

## ტელევიზიები გააძლიერეს

2022 წლის პირველ კვარტალში სატელევიზიო და რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავალი 10.6%-ით გაიზარდა და 17.8 მილიონი ლარი შეადგინა. ტელევიზიების კომერციული რეკლამიდან მიღებული თანხა 16.3 მილიონი ლარია, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 11.3%-ითაა გაზრდილი. ტელემაუწყებლობის სარეკლამო შემოსავლების 75.6% რეკლამამ შეადგინა, სპონსორობის წილი კი უზარმაუროდ შემოსავალში 14.3%-ია, რაც წინა წელთან შედარებით 6.3%-ითაა გაზრდილი.

2022 წლის პირველ კვარტალში სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი კვლავ „ტელევიმედს“ ჰქონდა, რომლის შემოსავალიც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0.2 მილიონი ლარით გაიზარდა და 5.4 მილიონი ლარი შეადგინა. რეკლამისა და სპონსორობის ხარჯზე 0.6 მილიონი ლარით გაიზარდა „მთავარი არხის“ სარეკლამო შემოსავალი და პირველ კვარტალში 2.5 მილიონი ლარი შეადგინა. „მედია ჰოლდინგის“ (ყოფილი რუსთავი 2) სარეკლამო შემოსავალი 0.1 მილიონი ლარით შემცირდა და 1.9 მილიონი ლარი შეადგინა. ასევე რეკლამისა და სპონსორობის ხარჯზე 0.4 მილიონი ლარით გაიზარდა „ტელეკომპანია პირველის“ მიერ მიღებული სარეკლამო შემოსავალი, რომელიც პირველი კვარტლის ბოლოს 1.6 მილიონი ლარი იყო. რეკლამისა და სპონსორობის ხარჯზე წინა წელთან შედარებით გაორმაგებულია „ფორმულას“ სარეკლამო შემოსავლების ოდენობა და 1.4 მილიონ ლარს შეადგენს. 0.1-0.1 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი მიიღეს „სილქნეტმა“ და „პოსტკ“-მ, „სილქნეტის“ სარეკლამო შემოსავალი 0.9 მილიონ ლარს, ხოლო „პოსტკ“-ს – 0.8 მილიონ ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი მაუწყებლის სარეკლამო შემოსავალი არ შეცვლილა და წინა წლის პირველი კვარტლის მსგავსად 0.2 მილიონი ლარია. სხვა მაუწყებლებმა ჯამში 0.9 მილიონი ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღეს.

„რაც შეეხება რადიომაუწყებლებს, მათი სარეკლამო შემოსავლები 2022 წლის პირველ კვარტალში 2.8%-ით გაიზარდა და 1.5 მილიონ ლარს შეადგენს, საიდანაც 89.2% რეკლამას, ხოლო 10.8% სპონსორობას უკავია. რადიომაუწყებლებიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების მიხედვით, ყველაზე მეტი 810.2 ათასი ლარი „რადიო ჰოლდინგ ფორტუნას“

ჰქონდა. „რადიო იმედმა“ 130.8 ათასი ლარი მიიღო. „ქართულმა რადიომ“ – 80.2 ათასი ლარის, „რადიო პალიტრამ“ – 73.9 ათასი ლარის, „მდგრადმა“ – 65.2 ათასი ლარის, „მედია ჰოლდინგ აფხაზეთის ხმამ“ 54.3 ათასი ლარის შემოსავალი მიიღეს. „ჩვენ რადიოს“ სარეკლამო შემოსავალმა 44.2 ათასი ლარი, „რადიო ჯორჯიან თაიმსის“ – 39.4 ათასი ლარი, კომპანია „მედიასტრემის“ – 32.0 ათასი ლარი, ხოლო სამაუწყებლო კომპანია „პერეთის“ – 28.1 ათასი ლარი შეადგინა. სხვა რადიომაუწყებლებმა ჯამში 142.8 ათასი ლარის სარეკლამო შემოსავლები მიიღეს.



## 582 მილიონი დოლარი საქართველოს მოგზაურობიდან

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2022 წლის იანვარ-აპრილის თვის შემოსავლების სტატისტიკა გამოაქვეყნა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 4 თვეში საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 582 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2019 წლის მაჩვენებლის 68.9% აღდგენაა. 2021 წლის იანვარ-აპრილის თვესთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია 478,886,422 (+463.1%) აშშ დოლარით.

რაც შეეხება 2022 წლის აპრილის თვეს, ერთ თვეში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 188 588 938 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებლის 70.6%-ით აღდგენაა. 2021 წლის აპრილის თვესთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია 138 729 246 (+278.2%) აშშ დოლარით.

# განცხადება

### სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი ახსნადებს ღია კონკურსს უძრავი საკუთრების მფლობელების დასაქმებულად:

- 1. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული სამტატო ერთეული.

#### კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის ქიმიური ტექნოლოგიების სპეციალისტი (რომელიც იმუშავებს მანქანათმშენებლობისათვის საჭირო მასალების შესამუშავებლად), აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებამაც იღებდა მონაწილეობას ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ) შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 17 ივნისი.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

## თბილისის მერიის პროგრამა „ინსაპლე და დასაქმებულნი“ დაიწყო

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია პროგრამა „ინსაპლე და დასაქმებულნი“ ახალ ეტაპს იწყებს და აცხადებს დაინტერესებულ მოქალაქეებს ონლაინრეგისტრაციას პლატფორმა [dassakmdti.ge](http://dassakmdti.ge)-ზე.

პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეების მომზადება/გადამზადება განხორციელდება 40-მდე სპეციალობაში მშენებლობის, ინჟინერიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კვების, ტურიზმის, მომსახურების, დიზაინის, ტრანსპორტის, ვეტერინარიის, ჯანდაცვისა და ფინანსების სფეროებში. ამ ეტაპზე, 1000-მდე მოქალაქე ეტაპის მომზადება/გადამზადებას შემდეგ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში: „მერმისი“, „იკაროლი“, „გლდინის პროფესიული მომზადების ცენტრი“ და „საქეტი“.

ბენეფიციარების შერჩევის აპრიორი პრიორიტეტი უნდა იყოს:

ქალაქ თბილისში რეგისტრაცია; მინიმალური ასაკი 18 წელი; თითოეულ სპეციალობაზე სწავლის ხანგრძლივობა არის არაუმეტეს სამი თვე და სასწავლო პროცესი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს. პროგრამის კურსდამთავრებულებზე გაცემად ორენოვანი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) სახელმწიფო სერტიფიკატი. პროგრამის რეგისტრაციის ვადები: 2022 წლის 18-30 მაისი. სასწავლო პროცესი კი დაიწყება 6 ივნისიდან. რეგისტრაციისთვის და დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: [www.dassakmdti.ge](http://www.dassakmdti.ge)

წინსვლა

თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაცუ ბაშო ლევან გორგაძისთვის წარმატებული გაზაფხულის მეორე სუპერტურნირის დასრულებამდე 3 დღით ადრე დადებითი ბალანსი გაინაღდა!

ტოჩინო შინი მე-12 საშეჯიბრო დღეს მე-12 მარტო მარტო მიოგირიუს შესვდა და იორიკირის ილეთით აჯობა. ჩვენებურმა მეტოქისთვის მავაში სელის ჩაღება მოახერხა და დოპიოდან გადა-



დაღებით ბალანსზე!

იყვანა. მან ორჯერ მოიპოვა მიჯრით მე-4 გამარჯვება. ეს წყვილის 31-ე დაპირისპირება იყო და ტოჩიმ ურთიერთშეხვედრებში მოგება-წაგების ბალანსი შეამცირა - 14:17.

გეტყვიან, რომ ქართველ გოლიათს მიმდინარე ბაშოზე 8 მოგების წილ 4 მარცხი აქვს. მასზე უკეთესი შედეგით ჯერჯერობით მხოლოდ ტაკენოშო (10:2) და სიდანოუმი (9:3) გამოირჩევიან. ჩვენებურს წინსვლა ელის, მისი მომდევნო მეტოქე კი მე-2 მარტო მარტო კირიბაია იქნება, რომელსაც აქამდე 7-ჯერ შეხვდა და უარყოფითი ბალანსი აქვს -3:4-ზე.

მოვლენის წინ

ღიას, მოხსენება!

რაც უფრო ახლოვდება ევრობასკეტი, მით უფრო ხშირად გაისმის კითხვა: მოხსენება? ალბათ, მიხვდით - საუბარია საბურთალოს მშენებარე 10 ათას მაყურებელზე გათვლილ მულტიფუნქციურ სპორტულ დარბაზზე, სადაც მომავალი ისტორიული ფორუმის 15 მატჩი უნდა გაიმართოს.

დასამალი არავისთვისაა, რომ შიშის საფუძველი სკეპტიკოსებსაც აქვთ - ჯერ იყო და თავსატეხი პანდემიამ გაგვიჩინა, ხოლო რამდენიმე თვის წინათ, როცა გვეგონა, რომ მიზნისკენ სტახანოვური ტემპებით მივისწრაფოდით, საქმეში ხანძარი ჩაერია. საბედნიეროდ, როგორც ირკვევა, სანერვიულო აღარაფერი გვაქვს და 4 ივლისს საქართველოსა და ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთა საშუალოდ შესარჩევ და ამავდროულად სატესტო შეხვედრას სწორედ ახალი სარბიელი უმასპინძლებს.

„დარწმუნებული ვარ, დარბაზი გამოცდას ჩააბარებს“ - განაცხადა ამას წინათ ფიბა-ევროპის ჩემპიონალის მასპინძელმა დირექტორმა კამილ ნოვაკმა, რომელიც თბილისს ფიბას 15-წევრი-

ან დელეგაციასთან ერთად სტუმრობდა და პირადად დარწმუნდა, რომ დასრულებულია როგორც პარკეტის დაგება, ისე ინდივიდუალური სავარძლების, აგრეთვე ტაბლოების ნაწილის დამონტაჟება. ასე რომ, სავსებით ლოგიკურია შარშანდელი დეკემბრის ვიზიტისგან განსხვავებით გამოთქმული კმაყოფილება და აშკარა პროგრესით გამოწვეული დადებითი შეფასება:



„ზამთარში უკმაყოფილო დავრჩი, რის გამოც ობიექტის დროულად ჩაბარების პერსპექტივას სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ ახლა სრულიად სხვა განწყობით გტოვებთ. ღიას, შთამბეჭდავი დარბაზია და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ევრობასკეტს ღირსეულად უმასპინძლებს“.

ორი მუზა

სალირიდან - ფერნერაში

საპარტიველოსა და უკრაინის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ნოდარ რაბინაშვილის ფალანგობა არაერთხელ შეგვიქია, მაგრამ უკანასკნელ წლებში მან ფერნერულ ფრონტზე მოპოვებულ წარმატებებსაც მიგვაჩვია.

ვინც ზემო რაჭის საამაყო შვილის ადგილის დედის - მაღალმთიან სოფელ ჭიორის სახლებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ძნელია ზღაპრული ბუნებით მონუსხულს ხელი ფუნჯისკენ არ გაექცეს. ჰოდა, ხატავს და ხატავს სახვითი ხელოვნების ეს რომანტიკოსი წარმომადგენელი ცისკიდურით შთაგონებულ იქაურ პეინტერებსა თუ ბეჯით თანამოძმეთა შრომით ასპარეზად ქცეულ



მწვანედ აბიბინებულ ველ-მინდვრებს ისევე, როგორც მათი გარჯის ნაყოფის განსახიერებას - ნატურმორტებს. და განა მარტო მათ?

სამშობლოს ტერიტორიულ

ლი მთლიანობის დასაცავად აქტიურად მებრძოლ ვეტერან ჯარისკაცს დამთავლიერებელთა სამსჯავროზე აღმოდებულ აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში პირადად განცდილი ადამიანუ-

რი ტრაგედიები ისეთი დრამატიზმით გამოაქვს, გეგონება, თავადაც იმ საშინელი მოვლენის თვითმზილველი ხარ.

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკაში გახსნილი მორიგი

ვერნისაჟის მშენებებად, ძველ ტილოებთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ის ექსპონატები მოგვევლინა, საუკუნეთა სიღრმიდან რომ გვარწმუნებენ დედაეკლესიისადმი მრევლის ერთგულების აუცილებლობაში. ექსპოზიცია 21 მაისს დაიხურება.

გამდლობთ, ოსტატო! გია პლატონიშვილი



ფრონა ლიგა

გერმანიის სახელით

გულშემატკივრებს კარგად მოეხსენება, რომ ევროპა ლიგის 4-გზის ტრიუმფატორი „სევილიისათვის“ რანგით მეორე საკლუბო ევროტურნირი იოლ გასაღებებს წარმოადგენს, მაგრამ ამჯერად ანდალუზიის დედაქალაქის „რამსანჩეს პისჩუანის“ სტადიონი ფინალურ შეხვედრას მასპინძლობდა.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ორივე გუნდს თითოჯერ ჰქონდა მოხვეჭილი პრესტიჟული ტიტული - „გლაზგო რეინჯერსს“ ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ, როცა ბარსელონაში გამართული დღეს უკვე აღარარსებული თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“ მინდორზე ქომაგთა შეჭრის გამო ნაადრევად შეწყდა, ხოლო მაინის ფრანკ-

ფურტის „აინტრახტს“ 1980 წელს - უფასო თასი. სხვათა შორის, ის სეზონი ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური ფაქტით შევიდა: 8 მეოთხედფინალისტიდან 5 გერმანიის წარმომადგენელი, ოთხივე ნახევარფინალისტი იქაური იყო და ორრაუნდინან ფინალში „აინტრახტმა“ თანამემამულეთა „ბორუსია“ (მენ-ჰენგლადბახი) სტუმრად გატანილი გოლებით დაამარცხა - 2:3, 1:0.

სხვათა შორის, უცნაურობებით მეტოქენი ამჯერადაც გვანებიერებდნენ. კერძოდ, შოტლანდიელებმა წინა ეტაპებზე ბუნდესლიგის ორი ბოზოლა - „დორტმუნდი“ და „ლაიფციგი“ დაჯაბნეს, ფრანკფურტელებმა კი ასევე ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში ესპანური პრიმერადივიზიონის ყოჩები - ადგილობრივი „ბეტისი“ და თვით „ბარსელონა“ დასცეს.


მოკლედ, მთელ რიგ გარემოებათა გათვალისწინებით ფავორიტი ძნელი გამოსაცნობი გახლდათ. თამაშმა დადასტურა, რომ ერთმანეთს ორი ღირსეული მეტოქე ებრძოდა, მატჩის ბედი კი გერმანული კლუბის სასარგებლოდ პენალტების სერიაში გადაწყდა - 5:4 (ძირითადი დრო - 1:1). ისე, კაცმა რომ თქვას, სამართალმა პური ჭამა, რადგან „აინტრახტმა“ ტურნირი ნაუგებლად დაასრულა.



ოვალური ბურთი

ტრიუმფის შედეგ

ძველ სამყაროში ხანმოკლე ჩამოსეირნებისა და რაგბი ევროპის სუპერთასის საწყის გათამაშებაში ტრიუმფის შემდეგ პირველი ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდა, სადაც ქარის თასის რეგულარული სეზონის ოთხ დასკვნით შეხვედრას შემდეგი გრაფიკით გამართავს:



- 21 მაისი. „ბულდოგ ზი“.
- 28 მაისი. „კავალიერ ზი“.
- 3 ივნისი. „იგლ ზი“.
- 11 ივნისი. „ლეოპარდ ზი“.

შეგახსენებთ, რომ ლევან მისაშვილის განვრთნილი გუნდი მისთვის ახალ ტურნირში ორი გამარჯვებით ჩაება, მაგრამ ზემოთ უკვე ნახსენები მიზეზის გამო „გრიფონთან“ და „ფალკესთან“ გამოუცხადებლობა ორ წაგებად ჩაუთვალეს, რის შედეგადაც 4 ტურის შემდეგ 14 ქულით მე-4 პოზიცია უკავია.

„შავი ლომი“

პირველი ხაზი: ორაგველიძე, ქაღარია, ხატი-აშვილი, მამუკაშვილი, ზამთარაძე, პერტაია, პატარაია, აბულაძე, ნიკლაური;

მეორე ხაზი: ჭივილი, ჯაიანი, მიხეილ ბაზუნაშვილი, გუშარაშვილი;

- მესამე ხაზი: თხილაიშვილი, ივანიშვილი, მამათავრიშვილი, აქუბარდია;
- 9: პერანიძე, ბეგაძე.
- 10: გიორგი ბაზუნაშვილი, მოძღვრიშვილი, მატკავა;
- 12-13: შარიქაძე, თაფლაძე, ლომიძე, ქანდაურაშვილი;
- 11-14: ტაბუცაძე, სვანიძე, თოდუა, ლაშხი, მოდებაძე;

15: სმალაძე. ამასობაში უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 5-კვირიან შეკრებაზე მარტყოფის სარაგბო ბაზაზე შევიდნენ, სადაც ლადო კილასონიას თავკაცობით 24 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით იტალიაში მსოფლიო რაგბის ეგიდით გასამართავი 20-წლამდელთა პრესტიჟული ტურნირისთვის გაფართოებული შემადგენლობით ემზადებიან, საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები კი მათ მოგვიანებით შეუერთდებიან.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებთან ერთად აპენინებზე ექვსი ერის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ (ინგლისი, საფრანგეთი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია და „სკუადრა აქურა“).

ლალო კილასონია: „სტარტზე მასპინძლებს 24 ივნისს ვხვდებით, 30 ივნისს - უელსს, 6 ივნისს - შოტლანდიას, ხოლო 12 ივლისს დაგეგმილ მატჩში ჩვენი მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა.“

ვიდრე ლეგიონერები ჩამოვლენ, შევეცდებით ადგილობრივი კონტინგენტიდან საუკეთესონი შევარჩიოთ. რადგან ტურნირის დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი, ყველა კომპონენტზე ერთდროულად ვიმუშავებთ: სელექციაზე, ფიზიკურ კონდიციებზე და ასე შემდეგ. შევეცდებით აგრეთვე შევამოწმოთ 2003 წელს დაბადებული ის ბიჭები, ვინც გაისად თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ითამაშონ“.



საერთაშორისო

# საქართველოს გულმოდგინე მებრძოლები

## გარდაიცვალა დამოუკიდებელი უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ მუხომეიშვილი

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ მუხომეიშვილი და პრინციპული პოზიციის წყალობით 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გატარდა აფხაზეთიდან ქართველ დევნილთა ევაკუაციის სპეცოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ არაერთი უკრაინელი თბომავალი, აგრეთვე უკრაინელი მფრინავები, რომელთაც 17 შვეულმფრენით აფხაზეთ-რუსული ტყვეების თავსებაში გა-



ნახორციელეს 291 გაფრენა და ეთნიკურ წმენდას გადაურჩა ათიათასობით ადამიანი. ლეონიდ მუხომეიშვილი გულმოდგინე მებრძოლი და ქართველ ხალხს, გულთან ახლოს მიჰქონდა საქართველოს პრობლემები. საზოგადოების მფარველობის ქვეშ, ლ.მ. მუხომეიშვილის ხელმძღვანელობით, დამუშავდა ლეონიდ მუხომეიშვილის პოლიტიკური კონფლიქტოლოგიის, სოციოლოგიური და სამართლებრივი კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ჩამოყალიბების ერთობლივი პროექტი, აგრეთვე ინსტიტუტის კონცეფციის პროექტი და წესდება.

საზოგადოება გულწრფელ სამძიმარს უცხადებს უკრაინელ ხალხს, განსვენებულის ოჯახს, ახლობელთა და ითხოვს, რომ განხილულ იქნეს ლ.მ. მუხომეიშვილის უკუდასახლება უკრაინის პრეზიდენტის 2022 წლის 11 მაისის ბრძანებულების (№330/2022) შესაბამისად მითითებული პროექტის დანერგვისა და ხორცილების განგრძობის შესაძლებლობა.

## ლეონიდ მუხომეიშვილი ქართველებს

საქართველოს მუდმივად ემხრობოდა, რომ ლ.მ. მუხომეიშვილის თაოსნობით და პრინციპული პოზიციის წყალობით 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გატარდა აფხაზეთიდან ქართველ დევნილთა ევაკუაციის სპეცოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ არაერთი უკრაინელი თბომავალი, აგრეთვე უკრაინელი მფრინავები, რომელთაც 17 შვეულმფრენით აფხაზეთ-რუსული ტყვეების თავსებაში გა-

**ნონა გაჰრინდაშვილი**, ჭადრაკში მსოფლიოს სუთგზის ჩემპიონი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ საზოგადოების თავმჯდომარე;

**მინდია უბრანაშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მოსამართლე (1999-2002), საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ თანათავმჯდომარე;

**ლადო კახაძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე (1998-2002), საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ თავმჯდომარე;

**რიმვიდას ნორკუსი**, ევროკავშირის (ლუქსემბურგი) საერთო სასამართლოს მოსამართლე, ნიკოლას რომერისის უნივერსიტეტის (ვილინიუსი) პროფესორი, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ თანათავმჯდომარე;

**ნინო სელი**, ესტონეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (2012-2016), ესტონეთის ოლიმპიური აკადემიის პრეზიდენტი, ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ თანათავმჯდომარე;

**ვახტანგ თორდია**, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1993-2006), საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს მებრძოლები“ საზოგადოების გენერალური მდივანი.

Міжнародна асоціація «Товариство друзів Грузії» з глибоким сумом сповіщає, що 10 травня 2022 року не стало першого Президента незалежної України, співголови Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії» Леоніда Макаровича Кравчука. Грузія завжди буде пам'ятати, що за ініціативою та завдяки принциповій позиції Л. М. Кравчука у вересні-жовтні 1993 року було проведено спецоперацію з евакуації грузинських біженців з Абхазії. В ній брали участь багато українських теплоходів, а також українських пілотів, які на 17 гвинтокрилах під обстрілами абхазько-російських військ здійснили 291 виліт та врятували від етнічних чисток десятки тисяч людей. Леонід Макарович тепло ставився до грузинського народу, близько до серця переймався проблемами Грузії. Під егідою Товариства, за згодою Л. М. Кравчука розроблявся спільний проєкт формування Міжнародного інституту Леоніда Кравчука з проблем політичної конфліктології, соціологічних та правових досліджень, проєкти його Концепції та Статуту. Товариство виражає щире співчуття українському народу, рідним, близьким Леоніда Макаровича та просить розглянути можливість, відповідно до Указу Президента України щодо вшанування пам'яті Л. М.Кравчука від 11 травня 2022 року № 330/2022, продовження впровадження зазначеного проєкту.

Нонна Гапріндашвілі, п'ятикратна чемпіонка Світу з шахів, почесний президент Олімпійського комітету Грузії, голова Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»

Міндія Угрехелідзе, дійсний член Національної Академії Грузії, суддя Європейського Суду з прав людини (1999-2002), співголова Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»

Ладო Кахадзе, член Парламенту Грузії, голова міських зборів міста Тбілісі (1998-2002), член Правління Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»


Римвидас Норкус, суддя загального суду Європейського Союзу (Люксембург), професор університету Миколаша Ромериса (Вільнюс), співголова Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»

Нейнар Сели, президент Олімпійського комітету Естонії (2012-2016), президент Олімпійської академії Естонії, співголова Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»

Вактанг Тордія, асоційований професор Грузинського університету імені Андрія Первозваного, голова Верховного Суду Автономної Республіки Абхазія (1993-2006), Генеральний секретар Міжнародної асоціації «Товариство друзів Грузії»

სსოპნა

# ჭეშეპარიტი ბაქურაშვილი შალვა ბაქარაძის ბაჰსენება



მზიური აჭარის უღამაზეს მთებში, მარეთის ხეობაში, სოფელ ოლადაურში ღირსეულ ოჯახში აღზრდილი, განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, რაც შენი კაცურად განვლილი ცხოვრების გზით გამოავლინე. ოლადაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძე საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრე და იყავი თითოთი საჩვენებელი, გამორჩეული და ყველასთვის საყვარელი ფრიადოსანი სტუდენტი, შემდეგ სწავლა გააგრძელე მოსკოვის საკავშირო ვეტერინარულ-სანიტარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ვეტერინარულ აკადემიაში. წარმატებით დაცავი დისერტაცია „სპეციალობით ვეტერინარული ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია“.

მოსკოვიდან დაბრუნებული კვალიფიციური სპეციალისტი ხელმძღვანელობდი შუახევის რაიონის სავეტერინარო სამსახურს, იყავი რაიონის სოფლის მეურნეობის და რაიონის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. შემდეგ კი დაუბრუნდი შენს საყვარელ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს, ჯერ – დოცენტის და შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. იყავი სავეტერინარო ფარმაკოლოგია-ტოქსიკოლოგიის საგნის უბადლო მცოდნე და შეუდარებელი ლექტორი. ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, მიგნივს ვერობის უნივერსიტეტში, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის, „ვეტერინარული ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად, სადაც სრული პროფესორის რანგში, შენს ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას უანგაროდ ახმარდი მომავალი ვეტერინარი ექიმების ღირსეულად აღზრდის საქმეს. იყავი უზომოდ პატიოსანი, კრისტალური და ყველა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შემსრულებელი, ყველა ინოვაციური საკითხის დეტალურად შემსწავლელი და ობიექტური დასკვნის გამკეთებელი. ბედნიერია ის ადამიანი, ვინც შენ ახლოს გიცნობდა და შენი უმნიშვნელო მებრძოლი იყო, რომელთა მესხიერებაში ყოველთვის დარჩები პატიოსნებისა და კაცობის ეტალონად.

შენი აღზრდილი სტუდენტები და თანამშრომლები, ვისთანაც გიმოღვანია, შენს საყოველთაოდ აღიარებულ სახელს ვერასოდეს დაივიწყებს. შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ და მოულოდნელად წასვლა საყოველთაო პანდემიამ გამოიწვია, რამაც უზომოდ დაამწუხრა შენი საყვარელი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და ყველა ახლობელი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ოჯახის მინა, ყველასთვის კეთილი და საყვარელი ვაჟკაცო.

შენი უერთგულესი მეგობარი – ამირან რამიშვილი.

## ნაწილი გაჰიდა ბიბა მოსოჰოკიას სასტიკი მკვლელობიდან!



6 წელი გავიდა საოკუპაციო ხაზთან ქართველი პატრიოტის, გიგა ოთხოზორიას სასტიკი მკვლელობიდან. აფხაზეთიდან დევნილი, ახალგაზრდა კაცი საოკუპაციო რეჟიმმა იმსხვერპლა. მკვლელები სასჯელს ვერ გაეცემიან. ჩვენ ვიყენებთ ყველა შესაძლო სამართლებრივ და დიპლომატიურ ინსტრუმენტს იმისათვის, რომ დამნაშავეებმა კანონის სრული სიმკაცრით აგონ პასუხი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს. მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ ქვეყანა არასოდეს შეეგუება დანაშაულებრივ ოკუპაციას. „ჩვენ არასდროს შევეგუებთ დანაშაულებრივ ოკუპაციას, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ერთმანეთისგან ყოფს და ყველაფერს გაგავკეთებთ მის მშვიდობიანად დასასრულებლად“, – ნათქვამია განცხადებაში.

## საქართველოს ყოფილი გულმოდგინე აზარტულა თამაშებზე დაღუპა

საბარტოქოლოს პროკურატურამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დერცელის საჯარო სკოლის ყოფილი ბუღალტერი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სკოლის საბანკო ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე გადარიცხა და მიითვისა 142ათას 629 ლარი, რომელიც აზარტულ თამაშებში და სხვადასხვა კომერციულ და გასართობ ობიექტებში გამოიყენა.

ილონ მასკი: თანამედროვე სკოლა არაფრისმოცემია, არსებული პრობლემები წარსულს უნდა ჩაბარდეს!



ილონ მასკმა განათლების თანამედროვე სისტემაზე, სკოლებსა თუ უმაღლესეში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ.

„თუ ბავშვს უყვარს მათემატიკა, მიეცით საშუალება ამ მიმართულებით განვითარდეს. თუ უცხოური ენები მოსწონს, დაე, ისწავლოს. საყოველთაოდ მიღებული უნივერსალური პროგრამები წარსულს უნდა ჩაბარდეს, თითოეული ბავშვისთვის უნდა შემუშავდეს უნიკალური მიდგომა, მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით“.

„იქ ადამიანებს საერთოდ არ ასწავლიან ფიქრს, შთაბეჭდილებას, რომ არიან განსაკუთრებული, არადა, ისიც კი არ იციან, როგორ გააანალიზონ საკუთარი შეცდომები და ბოლოს, მასკი ფიზიკას მეცნიერების დედოფლად მიიჩნევს და ამბობს, რომ ის ყველა ადამიანმა უნდა ისწავლოს. მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა განვითარებას ამ მიმართულებით“.



ილონ მასკის დედა მისი მასკი ფურნალ Sports Illustrated Swimsuit-ის გარეკანზე საცურაო კოსტიუმით გამოჩნდა. ფოტოები ფურნალის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

74 წლის მისი მასკთან ერთად ფურნალის მომდევნო ნომრის გარეკანზე მოხვდნენ ტელევიზარსკვლავი კიმ კარდაშიანი, აზიელი „პლუს საიზ“ მოდელი იუმი ნუ და ამერიკელი მომღერალი სიარა.

თავის თავს დიაგნოზი უიღვის ყურებისას დაუსვა



ოსტრალიაში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც წლების განმავლობაში იტანჯებოდა იშვიათი და დაუდგენელი დაავადებით, საკუთარი დიაგნოზი სერიოზულ „გრეის ანატომიის“ ერთ-ერთი ეპიზოდის ყურებში ასაბუთებდა. ენელი ლევი რომელიც ახლა 22 წლისაა ამბობს, რომ ბავშვობიდან, უჩვეულოდ მოქნილი იყო, მუდმივად ვარჯიშობდა და ელასტიურობის გამო, ძალიან ნიჭიერად მიიჩნევდნენ.

15 წლის ასაკში მხარი ამოიგდო, რასაც მის ცხოვრებაში ხანგრძლივი და მტკიცეული პერიოდი მოჰყვა – ეს სახსრების მუდმივ დისლოკაციაში გამოისახებოდა, განსაკუთრებით კი, მხრის მიდამოებში, როგორც თავად იხსენებს, ხელის ტკივილი იმდენად აწუხებდა, რომ სკოლაში წერაც აღარ შეეძლო. გაურკვეველობას წერტილი მხოლოდ მას შემდეგ დაესვა, რაც ამერიკული სამედიცინო სერიალის – „გრეის ანატომიის“ ყურება დაიწყო.

„შოუს ერთ-ერთი ეპიზოდის დროს პირველად გავიგე ელერს-დანლოს სინდრომის შესახებ. მათ აღწერეს იმის იდეალური მდგომარეობა, რომელიც მე მქონდა. ჩავიტარე კვლევა და დავრწმუნდი, რომ სწორედ ეს სინდრომი მქონდა“, – ამბობს ლევი.

ელერს-დანლოს სინდრომი არის იშვიათი, თანდაყოლილი, შემავრთველქსოვილოვანი დაავადება. ეს არის შემავრთველი ქსოვილის წარმოქმნილი და გამაკონტროლებელი გენის მუტაცია. ტიპური სიმპტომებია მოქნილი ძვლები, პათოლოგიური კიფოზი, ბრტყელი ტერფი და ელასტიური კანი. ელერს-დანლოს სინდრომით დაავადებულ ბავშვებს ჩვეულებრივ ძალიან მოქნილი სახსრები აქვთ. ზოგს უვითარდება პატარა, მკვრივი კოპების მაგვარი წარმოქმნილი კანკევი. გულმკერდის დეფორმაცია, კიფოზი და კიფოქსოლოზიც ხშირია. მოზრდილების შემთხვევაში აქვს ბრტყელი ტერფი. უმცირესმა დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ქრილობა. ეს ქრილობები ძირითადად არ არის ძალიან სისხლმდენი, მაგრამ ტოვებენ ნაწიბურებს. იშვიათ შემთხვევაში პაციენტებს უვითარდებათ შედეგების დევექტი, ამიტომ ქრილობის დროს სისხლის გაჩერება ძალიან რთულია.

უინეთი ნატოში შესვლას ახალი ლუდით აპირებს



უინეთი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების დანებების აღსანიშნავად სპეციალური ლუდი გამოუშვეს – ქალაქ საგონლინაში მდებარე ლუდსახარშმა Olaf Brewing-მა გამოუშვა ლუდი Otan olutta, რომლის გაყიდვაც 16 მაისიდან დაიწყო.

დასახელება ითარგმნება როგორც „აიღე ლუდი“, მაგრამ, ამასთანავე, OTAN – ნატოს ფრანგულენოვანი აბრევიატურაცაა. გარდა ამისა, ლუდის ქილაზე გამოსახულია რაინდი, რომლის აბჯარსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლოგო ამშვენებს.

რაც მოლდოვისთვის დემოკრატიას, საქართველოსთვის დიქტატურა ყოფილა

მოლდოვის გენერალურმა პროკურატურამ ყოფილი პრეზიდენტის იგორ დოდონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ექსპრეზიდენტი ოლიგარქ ვლადიმირ პლახოტნიუკთან კორუფციულ კავშირებშია ეჭვმიტანილი.



მოლდოვის პროკურატურის პრესსპიკერის განმარტებით, სისხლის სამართლებრივი დევნის დანებება 2020 წლის ზაფხულში გავრცელებული ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ მოხდა. კადრებში ასახულია იგორ დოდონისა და დემოკრატიული პარტიის მაშინდელი ლიდერის ვლადიმირ პლახოტნიუკის 2019 წლის ივნისში შემდგარი შეხვედრა, სადაც ჩანს, თუ როგორ გადასცემს აღნიშნული პირი დოდონს შავ შეკვრას. ვიდეოჩანაწერში საუბრიდან ირკვევა, რომ მასში თანხაა, რომელიც სოციალისტური პარტიის დაფინანსებისთვის იყო განკუთვნილი. სოციალისტურ პარტიას იმ დროს იგორ დოდონი ხელმძღვანელობდა.

გაქალი რანგის სამხედროებს თანამდებობიდან

ბოლო კვირების განმავლობაში რუსეთში თანამდებობიდან გათავისუფლდნენ მალალი რანგის სამხედროები, რომლებიც უკრაინაში შეჭრის პირველ ეტაპზე არაეფექტურად მოქმედებდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვა ავრცელებს.



„გენერალ-ლეიტენანტი სერგეი კისელი, რომელიც გვარდიის 1 სატანკო არმიის მეთაურობდა, თანამდებობიდან გადააყენეს ხარკოვის ვერალების გამო. ვიცე-ადმირალი იგორ ოსიპოვი, რომელიც რუსეთის შავი ზღვის ფლოტს მეთაურობდა, ასევე გადააყენეს თანამდებობიდან მას შემდეგ, რაც აპრილში კრისიერი „მოსკოვი“ ჩაიძირა. გენშტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვი, როგორც ჩანს, თანამდებობაზე რჩება, მაგრამ უცნობია, კვლავ ენდობა თუ არა მას პუტინი.“

განტყვევებულ ვაჭრების ძებნისა და მიწურების კულტურა ფართოდ არის გავრცელებული რუსეთის სამხედრო და უშიშროების სფეროში. არაერთი ოფიციალური პირი, რომლებსაც მიუძღვით ბრალი უკრაინაში შეჭრისთვის, სულ უფრო მეტად ეცდებიან, თავი აარიდონ პირად პასუხისმგებლობას რუსეთის ოპერატიულ წარუშმატებლობებზე“, – აღნიშნულია განცხადებაში.



შროდერი პუტინს ისევ ეპეპობრება

პუტინის ლობირების გამო, გერმანიის ყოფილი კანცლერის გერმარდ შროდერის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ოფისი დაიხურება. წესის თანახმად, გერმანიის ყველა ლიდერს აქვს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ოფისი, როდესაც ისინი მთავრობას ტოვებენ, თუმცა სამი პარტია, რომელიც ოლაფ შოლცის მმართველ კოალიციაში შედის, შროდერის ოფისის დახურვასთან დაკავშირებით უშამდგომლობაზე შეთანხმდა.

მათ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ყოფილმა კანცლერმა უარი თქვა პუტინის დაგმობაზე, რომელსაც ის კვლავ ახლო მეგობარს უწოდებს. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა, კრისტიან ლინდენერმა განაცხადა, რომ წარმოუდგენელია ყოფილ კანცლერს, რომელიც ახლა ღიადა ახორციელებს ლობისტურ მუშაობას ვლადიმერ პუტინის კრიმინალური მმართველობისთვის, გადასახადის გადახდებზე კვლავ დაუფინანსონ ოფისი.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი. 599 53-76-16; 599 36-00-35. შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი. ტ: 599 79-76-79. იზაქაბა სტამბა „კოლორი“. 0. პალდავაძის №3. კოლორი ჰაუზი. uac(უაკ)070.4(479.22) ს-323. 2 009882 616932. ავტორთა სახურადადგოდა! რედაქციის მძირ შუამავთაპი მასალაპი დანიჭაქაბა ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზარაპა-პი, შუაქალო, გუდაპ არ ემთხვეოდას რედაქციის პრინციპას. ფაქტაპის სიუუსტაპა პასუსს აგაპან ავტორაპი.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ორშაბათს, 23 მაისს

Table with 3 columns: Subscription rates, Phone numbers, and Website information.